ალბერტ
ფალკენბერგი

ოთხ ტომად

ნახალმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი
1960

ტომი
I

ბიესები

ნახალმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი
1960

ეკლესიანი
ვეფხისტყაოსანი

მოქმედი პირნი

ერეკლე მეფე — მფლობელი ქართლ-კახეთისა
სოლომონ ლეონიძე — კანცლერი
აღა-მაჰმად ხან — მფლობელი ირანისა
დავით ბატონიშვილი
იოანე ბატონიშვილი } გიორგი მეცამეტეს შვილები
თეიმურაზ ბატონიშვილი — გიორგისა და მარიამის შვილი 10 წ.
რევაზ ციციშვილი — მდივანბეგი
იესე უზბაში
ქიტელა — ერეკლეს ძველი მეომარი
მალხაზ — ქიტელას შვილიშვილი
გუშაგი, იგივე შიკრიკი
ზურაბ წერეთელი — სარდალი იმერელ ლაშქრისა
ოთარ ამილახვარი—სარდალი
თედო გათენაშვილი
გელა, თედოს ვაჟი
ხუდია ბორჩალოელი
ვახტანგ ორბელიანი — ერეკლეს ქეშიკი მცველი
ჯაფარ-ყული-ხან — ძმა აღა-მაჰმად-ხანისა
ალი-ყული-ხან — სარდალი
ალი-სადუხ-ბეგი — ყარაბაღელი
აღალო — სომეხი ხელოსანი
სქელი მოქალაქე — დარჩო
ელჩი — აღა მამედ-ხანისა
რუსის ოფიცერი
ხევსურნი — არაგველნი
ხევისბერი
ფანოზაშვილი — სოვდაგარი
დარეჯან დედოფალი — ერეკლეს მეუღლე
მარიამ დედოფალი — გიორგის მეუღლე
ქეთევან — დედა ვახტანგისა
თეკლე ბატონიშვილი — ერეკლეს ქალი
როდამ — ქეთევანის ქალი

სპარსელთა ჯარი, ქართველთა ჯარი, ხევსურები, იმერლები, ქართლელები, კახელები და მოქალაქენი.

მოქმედება პირველი

ნავთლუღი, სამხედრო მინდვრის კარავი. გუშაგი მღერის, გამოდის უზბაში, უკან გაოფლიანებული ქიტელა მოხუცი, ქუდმოხდილი, ვაჟით, ხელში საგზალით და ღვინის დოქით, იესე უზბაში, ქიტელას ტუქსავს.

ი ე ს ე — არ შეიძლება აგრე, შვილოსან, არ შეიძლება! ჩვენმა ბატონმა, ერეკლე მეფემ, იმიტომ კი არ მოსპო „ნოქარი“ და მორიგე ჯარი დააწესა, რომ როცა თქვენ მოგეპრიანებათ, მაშინ ემსახუროთ მეფეს და ხალხსა.

ქ ი ტ ე ლ ა — იესე ბატონო! მაგას რად ბრძანებთ, შენი ჭირიმე? ხალხისა და მეფის სამსახურს როდის გავქცევივარ, ახლა გავექცე?

ი ე ს ე — დღეს რომ ერთს ასწავლი, ხვალ მეორე მოდის! ჯერ ერთი ვერ გაგიწვრთნია, ზეგ მესამეს თავიდან უნდა დაუწყო ჩიჩინი! შენ რა გიჭირს, შვილოსა, ერთი დოქი ღვინითა და ცივად მოხარშული დედლით გინდა ვალი მოიხადო. ჩვენ ბატონს, მეფე ერეკლეს, თვალი როგორღა გავუსწორო? ერთს გადმოხედავს, ი დალოცვილი, და ენა მუცელში ჩაგივარდება.

ქ ი ტ ე ლ ა — ღმერთმა აკურთხოს იმისი თვალი და იმისი მარჯვენა! იმით უდგია საწყალ კაცს სული.

ი ე ს ე — (ფეხი მოირთხა კარავის წინ. გაშალა ქიტელას მოტანილი საგზალი და ქათმის ბარკალს ღეჭვა დაუწო)..

რა გქვია, ბიჭო, შენ?

მ ა ლ ხ ა ზ ი — მალხაზი, შენი ჭირიმე!

ი ე ს ე — მოდი აქ! მომართვი ღვინო! (ღვინო დაუსხა). ღმერთო დიდებულო, შენ გაუმარჯვე მტერზე ჩვენს ბატონს, ერეკლე მეფეს! (სვამს).

ქ ი ტ ე ლ ა — ადღეგრძელოს ჩვენმა ხატმა და სალოცავმა.

ი ე ს ე — ძაან ღვინოა! შე დალოცვილო, თუ ჩემი პატივისცემა გინდოდა, ჩაფით მაინც წამოგეღო, თორემ დოქი მეორე ყლუპზედ დაიცლება.

ქ ი ტ ე ლ ა — ეგეც ქალაქელმა ნათლიმამამ აღალომ მომცა, თორემ ჩაფით ღვინო... ვინ მომაშავა.

ი ე ს ე — დასაწყლდით! დაგლახდით! კარგად გიცნობთ, რაც შვილები

ხართ. ჰოდა ასე, ჯარიმას გაპატიებთ, თუ შენი ბიჭი ხუთ დღიურს მომიხნავს და დამითესავს. კვირაში ერთი თუნგი ღვინო. თანაც, აქვე ტყეში შეშა მოსაჭრელი მაქვს! ათს ურემს მომიჭრით და ქალაქში ჩამიტანთ თქვენის ურმით! მამაჩემის, ლუარსაბის სულს ვფიცავ, აქ რომ ბიჭებსა ხედავთ, ერთიორად მეტ პატივს მცემენ. მე შენი ხათრი მაქვს, მოხუცო, და ამ მცირედსაც დავჯერდები. რა ვქნა, ქრისტიანი ვარ და მიყვარს ქრისტიანი კაცი.

ქ ი ტ ე ლ ა — დიდი, დიდი შეღავათია, შენი კვნესამე!

ი ე ს ე — შენ ბიჭს შინაურ საქმეზე დავსაქმებ შაბათ-კვირესა.

ქ ი ტ ე ლ ა — შენი წყალობა ნუ მოგვაკლოს, ჩემო ბატონო!

ი ე ს ე — წისქვილში საფქვავი წაიღე, ჩვენები დიდიხანია უნაფქვოდ არიან.

ქ ი ტ ე ლ ა — მართალი უთქვამთ ჩვენს ძველებსა: მადა ჭამაში მოდისო!

ი ე ს ე — მაშ, შვილოსან! ვინც შრომობს და ოფლსა ღვრის, იმას მადაც კარგი აქვს და ღმერთმაც შეარგოს. სამოცდა ხუთს გადავცილდი და ქვეყნის და მეფის სამსახურში ვარ. ერთი დღე არ დამისვენია. ახლა არ იტყვი, რამდენ ომში, რამდენ მტრისთვის კისერი მომიგრეხია? ერეკლეს აკი იმიტომაც ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის: შენ რომ არ მყავდე, ჩემს გვირგვინს ერთი მარგალიტი მოაკლდებოდა, ის მარგალიტი მთელ სახელმწიფოდ ეღირებოდაო! იცით, აზატ-ხანი ვინ იყო? მე რომ დავჭყივლე და ბიჭები წავუსიე, თვალის დახამხამებაზე აზატ-ხანის ბანაკი მიისრის-მოისრისა... ამიტომ ერეკლემ მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: შაბაშ, ვაჟკაცი შენ ყოფილხარო. (ამასობაში დედალი შეჭამა და ღვინო გადაკრა). ასე მტერი დაგეცალოთ!

ქ ი ტ ე ლ ა — იმ ბრძოლაში მე თვითონ იქ ვიყავი, იესე ბატონო!

ი ე ს ე — მერე, სად იყავ?

ქ ი ტ ე ლ ა — ერეკლეს გვერდით გახლდი.

ი ე ს ე — ნუ სულელობ!

ქ ი ტ ე ლ ა — მართალს მოგახსენებ. და შენ, არ მახსოვს...

ი ე ს ე — შენ ეს არ გახსოვს, რომ აზატ-ხანი დამარცხდა?

ქ ი ტ ე ლ ა — ეგ როგორ არ მახსოვს, როცა მე, აი, ეს მკლავი დამიშავდა, მაგრამ არ მახსოვს, რომ შენ...

ი ე ს ე — ჩუმად, შე ქოფაკო... თუ სამსახური გინდათ, ერთგულად უნდა მემსახუროთ და ენაც უნდა დაიმოკლოთ! ისე უნდა მემსახუროთ, როგორც მე ვემსახურები ჩემს მეფესა და ჩემს

ღმერთსა, კურთხეულ იყოს სახელი მისი.

მ ა ლ ხ ა ზ ი — ღმერთმა დაგვიფაროს მაგნაირი სამსახურისაგან, პაპავ, აქ სად მომიყვანე? ამან უნდა გვასწავლოს მეფისა და ხალხის სამსახური?

ქ ი ტ ე ლ ა — იყუჩე, ბალღო! განა ვერ ხედავ, მეფემ სამასპინძლო გაგვიუქმა და იესე უზბაშმა კვლავ დაგვიწესა?!

ი ე ს ე — შენ, ეი, ქოფაკო, რაებს მიქარავ?

ქ ი ტ ე ლ ა — მართალს მოგახსენებ, შენი კვნესამე! ომი უშენოდ არც ყოფილა და არც იქნება, მეფე უშენოდ არც ყოფილა და არც იქნება, სიცოცხლე უშენოდ არც ყოფილა და არც იქნება! საქრისტიანო შენთვის ჩაუბარებია მეფესა და ჩვენს ბატონსა და შენს წესსა და შენსა კანონს, თავში ქვა უნდა ვიცეთ და დავემორჩილოთ... სხვა, აბა, რა ვქნათ!

ი ე ს ე — ვის უბედავ მაგას, შე წუწკის შვილო? უმადლე დღევანდელ ჩემს კეთილ გუნებას, თორემ მაგ დაცხავებულ ტყავს გაგაძრობდი და ძაღლებს მივუგდებდი შესაჭმელად.

მ ა ლ ხ ა ზ ი — პაპას ხათრი, თორემ მე ვიცი შენი საკადრისი!

ქ ი ტ ე ლ ა — თფუ! შევარცხვინე შენი გვარიშვილობა!

ი ე ს ე — მამა არ წამიწყდება, თავს მომაკვლევინებთ, თქვე ღორიშვილებო.

მ ა ლ ხ ა ზ ი — ნეტა არ მინდა ადგებოდე...

ქ ი ტ ე ლ ა — ჩუმად, ბალღო!

მ ა ლ ხ ა ზ ი — პაპა, შენი ჭირიმე, ერთი გამიშვი!

ქ ი ტ ე ლ ა — არ გაბედო! ოღონდ მეფე დღეგრძელი გვყავდეს, მაგის მკურნალი მალე გაჩნდება. ერეკლეს ხელში თათრობა არავის შერჩენია, იესე უზბაშო, და არც შენ შეგრჩება.

გ უ შ ა გ ი — (ამ დროს გულგახეთქილი შემოვარდება). იესე ბატონო, ერეკლე მეფე მობრძანდება! (უზბაში დაიბნევა, ბუზღუნით).

ი ე ს ე — ერეკლე? რამ ამოიყვანა ქალაქიდან ამ სიცხე-პაპანებაში? არც თვითონ ისვენებს, არც სხვას ასვენებს. არიქა, ბიჭო, მიალაგ-მოალაგე აქაურობა.

(გაიქცევა შესახვედრად. „მორიგეები“ მიალაგ-მოალაგებენ, ფარდაგს გაშლიან. ჩამწკრივდებიან. სულ ბოლოში, უკან, ქიტელა თავისი შვილიშვილით. შემოდის ერეკლე, დავით და იოანე ბატონიშვილებით. ერეკლემ თვალი მოჰკრა უკან მწკრივში მდგარს ქიტელას და მისკენ გაემართა).

ე რ ე კ ლ ე — უზბაშო, ვხედავ, პატივში არა გყავს ჩემი ძველი მეომარი.

ი ე ს ე — მე... მე...

ე რ ე კ ლ ე — ჩემო ქიტელა, ვხედავ, ჩემზე მეტად შემოსილხარ ჭაღარით.

ქ ი ტ ე ლ ა — მეფევ ბატონო, შენ იდღეგრძელე, შენი ჭაღარა მაინც ჩვენი იმედი არის.

ე რ ე კ ლ ე — დავით! იოანე! მოდით აქ, შვილო! ამ ჭაღარას უთხარით გამარჯვება! ის, თავის მეფესთან ერთად, მუდამ მტერზე გამარჯვებული იყო... პატიოსანი, ერთგული და თავდადებული მეომარია ჩემი! სამი შვილი შესწირა ქვეყანას — სამი ვაჟკაცი.

ქ ი ტ ე ლ ა — ჩემს შვილებს სულით განათლება არ მოაკლდებათ, რაკი შენ ისინი არ დაგვიწყებია.

ე რ ე კ ლ ე — რამდენი ჭრილობა გაქვს მიღებული, ქიტელ?

ქ ი ტ ე ლ ა — ვგონებ, ცამეტამდე დაითვლება.

ე რ ე კ ლ ე — ჩემს შვილიშვილებს უამბე, როგორ მოგიხდა ბრძოლა ყვარლის ციხესთან.

ქ ი ტ ე ლ ა — დიდი ხნის ამბავზე მკითხავ, შენი ჭირიმე! მრავალი ბრძოლა გარდავიტანეთ და შენი მიკვირს, რომ შენი ქვეშევრდომის საქმეც ასე დაგხსომებია.

ე რ ე კ ლ ე — ვისაც სიკეთე ავიწყდება, ის მხოლოდ ბოროტს მოიმკის. დიახ, მრავალი ბრძოლა გარდავიტანეთ, ჩემო ქიტელ, და აი, დღესაც ომის მოლოდინში ვართ.

ქ ი ტ ე ლ ა — მიტომ მოგართვი ჩემი შვილიშვილი! აი ეს! სულით განათლებულმა შენმა ლევანმა მომინათლა...

ე რ ე კ ლ ე — ჩემმა ლევანმა?.. მოდი აქ! შენ ჩემი შვილის ნათლული ყოფილხარ... ჩემს შვილს შენ ხელში სჭერიხარ. (ქისით ფულს აჩუქებს). ქიტელ, შენმა მოხუცმა მეფემ ვერ მისცა ხალხს მშვიდობა და მოსვენებით ცხოვრება და განა ღირსი არ არის, რომ ასეთს მეფეს ხალხი უმადური ყავდეს?

ქ ი ტ ე ლ ა — უმადური იქნება ხალხის მტერი და ორგული! არა, მეფეო, შენს ხმალზე სწერია ჩვენი ხალხის ბედნიერება.

ე რ ე კ ლ ე — უზბაშო! აბა, ახლა მიჩვენე როგორ ასწავლე მიზანში სროლა! ხომ ზუსტად ესვრიან, უზბაშო?

ი ე ს ე — ბეწვს არ გააცდენენ.

ე რ ე კ ლ ე — ნიშანში დადე შენი ქუდი! (იესე გაშრა). იესე, გადათვალე ორმოცდაათი და იქ დადე! უზბაშო! რამდენი ნაბიჯია ნიშნამდე?

ი ე ს ე — ორმოცდაათი, დიდო ბატონო!

ე რ ე კ ლ ე — იქნებ მატყუებს მოხუცს თვალი?

დ ა ვ ი თ ი — პაპა, ორმოცდაათზე მეტი არ იქნება!

ი ე ს ე — ბატონო, თქვენს თავს ვფიცავ, ორმოცდაათია!

დ ა ვ ი თ ი — პეტრეს ქალაქში კაცის ფიტულს ვხმარობდით ორმოცდაათ ფეხის ნაბიჯზე არტილერიის სასწავლებელში.

ხ მ ა — მზად გახლავთ, ბატონო.

(ესვრიან. ვერ გაარტყეს).

ი ო ა ნ ე — ორმოცდაათი ნაბიჯია, მაგრამ ვერც ერთმა მაინც ვერ გაარტყა.

ე რ ე კ ლ ე — მომეცით თოფი! მე უზბაშს დავუმტკიცებ, რომ ჩემი თვალი ორმოცდაათ ნაბიჯზეც გაარჩევს მის სიცრუეს.

ი ე ს ე — შემიბრალე, მეფევ მწყალობელო!

ე რ ე კ ლ ე — რად ჩქარობ, უზბაშო! ნაადრევად მთხოვ შებრალებას, თუ მოვარტყი მიზანს, მაშინ მთხოვე, რომ გაპატიო და თუ ასცდა, მაშინ თვითონ გთხოვ მოტევებას.

ი ე ს ე — მეფეო, შენს თვალს და მარჯვენას არაფერი დაუმაგრდება.

ე რ ე კ ლ ე — უჰ, უზბაშო, ახლაც მატყუებ! შენ თუ ეს გწამდა, რატომ იცრუე მეფის წინაშე?

ი ე ს ე — მოვხუცდი, გავსულელდი, მე უბედური!

ე რ ე კ ლ ე — აბა, ვენდოთ მოხუცის თვალს და მის მარჯვენას.

(დაუმიზნა, ესროლა).

ხ მ ა — მოხვდა, ბატონო.

ი ო ა ნ ე — არ გქონია ბედი, უზბაშო!

ე რ ე კ ლ ე — მოიცა, შვილო! ამ კაცის ბედი ჩემს გასროლაზე ჰკიდია! ნუ ავჩქარდებით, შევამოწმოთ, მოხვდა ნამდვილად, თუ არა.

მ ა ლ ხ ა ზ ი — (შემოვარდება ქუდით ხელში). ქუდი ტყვიისაგან გახვრეტილია.

ქ ი ტ ე ლ ა — გაიხაროს შენმა მარჯვენამ და შენმა თვალმა.

ე რ ე კ ლ ე — ახლა რა ვქნათ, ჩემო უზბაშო? მეფეს თვალწინ რომ მატყუებ, ზურგს უკან უერთგულებ? მე ვიცი შენი ოინები! განა ეს ხალხი აზნაურის ბეგარისაგან იმისთვის გავანთავი სუფლე, რომ იესე უზბაშს თავის ყმებად გადაექცია? ამ ბიჭებს ტყავი აქვთ ხელზე გადამძვრალი შენს მინდვრებში მუშაობით, თორემ თუ მე მოხუცმა შევსძელ, განა ასეთ ვაჟკაცებს ორმოცდაათს ნაბიჯზე მიზანში გარტყმა გაუჭირდებოდათ, რომ შენ ისინი სროლაში გეწვრთნა? ქიტელ ჩემო! ეგ კაცი სოლომონ მსაჯულს მიჰგვარე. მაგას რაც ეკადრება, მან უკეთ იცის.

ი ე ს ე — (უნდა რაღაც თქვას, მაგრამ მეფის მრისხანე გადმოხედვა გააქვავებს და უსიტყვოდ წელში მოხრილი გაყვება ქიტელას და მის შვილიშვილს)

ე რ ე კ ლ ე—თქვენ კი, ყმაწვილებო, უზბაშად (უჩვენა გუშაგზე) ეს გეყოლებათ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — დღეგრძელი იყოს ერეკლე მეფე!

ე რ ე კ ლ ე — რა იყო, ბიჭო, რამ ჩაგაფიქრა?

უ ზ ბ ა შ ი — არაფერმა, დიდო მეფეო!

ე რ ე კ ლ ე — ლიტონი კაცი, ნათქვამია, ჭამაშიაც ცოდი არისო! ყოველთვის თითქმის ბრძოლის ბედი მასზე ჰკიდია, ვინც დაიძახა: „ჰკა მაგათაო“ და შეუტია. ასეთ რიგებში ვაჟკაცის ყოლა სასარგებლოა პამულისთვისაც და სარდლისთვისაც. წაიყვა! ორ-სამ დღეში ამ ბიჭებს სროლა ასწავლე.

გ უ შ ა გ ი — დღეგრძელი იყოს მეფე ერეკლე! (მეომრები გადიან).

ე რ ე კ ლ ე — ჩემო დავით და იოანე! მომავალი ახალგაზრდებს ეკუთვნის! ახლა შეადარე ეს ხალხი და წეღანდელი შენი ნაამბობი. იქ სინამდვილემ ზღაპარს გაუსწრო!

ი ო ა ნ ე — რაზედ ბრძანებ, პაპაჩემო?

ე რ ე კ ლ ე — წეღან რო მიამბე ჰაერსა შინა მროკველი გუნდის შესახებ.

დ ა ვ ი თ ი — იმას, პაპაჩემო, აეროსტატი ეწოდება.

ე რ ე კ ლ ე— დაე, ეგრე იყოს! მან შეიპყრო ჩემი გული და გონება! ის მონგოლფიერები, საფრანგეთში რომ აფრენილან, არ ემგვანებიან ამ ჩემს უზბაშებს! იცით, მათი საქმე რას მოასწავებს? იგი ქვეყანა მტერზე მუდამ გამარჯვებული იქნება! წარმოგიდგენიათ, მე მყავდნენ მონგოლფიერები და გამიკეთონ ჰაერში მროკველი, ან თქვენებურად, ერთი აეროსტატი! ავფრინდებოდი მაღლა და მტრის ბანაკს იქიდან დავათვალიერებდი. გავიგებდი: სად სუსტობს, სად ძლიერია. პირდაპირ სასწაულს მოვახდენდი! დიდი საქმე მოუგონიათ, ძალიან დიდი!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — (შემოდის). სასწრაფო ამბავი, მეფეე ბატონო!

ე რ ე კ ლ ე — ვინ არის? რა ამბავია?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — შუშიდან იბრაჰიმ-ხანის კაცია! თბილისში არ გაჩერდა, სასწრაფოდ მაჩვენეთ ერეკლე მეფეო!

(შემოდის ალი-საღუხ-ბეგ).

ე რ ე კ ლ ე — საღუხ-ბეგ!

ს ა ღ უ ხ — შენი სიცოცხლე ალაჰმა ბრძანოს! შენი ერთგული იბრაჰიმ-ხანი სალამს გიძღვნის.

ე რ ე კ ლ ე — მადლობელი ვარ ჩემი მეგობრის. სხვა რა ამბავია?

ს ა ღ უ ხ — ჩემი ენა ათასჯერ წყეული იყოს, რადგან კარგ ამბავს ვერაფერს მოგახსენებს. ჩემმა მბრძანებელმა იბრაჰიმ-ხანმა აღა-მამედ-ხანის კაცები შეიპყრო და მათ ეს ფირმანები წაართვა. ნახე რას ავალებს თავის ძმას, ჯაფარ-ყული-ხანს: „ერევანთან დასტოვებ ოთხ ათასს, ხოლო დანარჩენ ჯარით ჩემს ოც ათასს შემოუერთდები. საქართველოს უნდა დავეცე მოულოდნელად, მოვსპო სრულიად და დავშალო საქართველო, როგორც კალატოზები ხავსმოკიდებულ შენობას შლიან“.

ე რ ე კ ლ ე — როგორც ყაჩაღი, მოდის იგი მუხანათურად! მოიპარება, რომ აგვიკლოს მოულოდნელად. საღუხ, მობრძანდი!

(გადიან).

თ ე კ ლ ე — (შემორბის). ვახტანგ!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ბატონიშვილო!

თ ე კ ლ ე — შენ რომ მეჯინიბეს ცხენი დაამალვინე, ცხენი ნემსი ხომ არ იყო, ვერ მეპოვნა? ცხენი ვნახე, მოვახტი და ჰაიდა!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მეფემ მიბრძანა, ნება არ მომეცა.

თ ე კ ლ ე — მამამ გიბრძანა, რომ შენ ჩემთვის ნება არ მოგეცა! მეც ხომ შემიძლიან, გიბრძანო და ნუთუ შენ ჩემი ბრძანება არ უნდა შეასრულო? მაგრამ შენ ჩინებული ვაჟკაცი ყოფილხარ და დიდებული რაინდი, რომ შენ ქალს მფარველობა ვერ გაუწიე მეფის წინაშე.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ბატონიშვილო, იგი მამაშენია და ჩემი მეფე. სიკვდილს ვარჩევ, ვიდრე მე ერეკლეს სიტყვა შევუბრუნო.

თ ე კ ლ ე — ის რომ სხვა ყოფილიყო და არა ერეკლე, მაშინ რას იზამდი?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მაშინ... გეფიცები...

თ ე კ ლ ე — ენა დაგება? ახლა იგონებ თუ რას იზამდი და ვერ მოგიგონია? შენ მხოლოდ მეფის ქეშიკი ყოფილხარ, ე. ი. მეფის მცველი და სხვა არაფერი! მაინც რას იზამდი? ხმალს იშიშვლებდი? შეებრძოლებოდი?... აი, მე ხომ გაგახსენე, სთქვი, თავი მომაწონე, იტრაბახე! შენ გგონია, მე არ დაგიჯერებ?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ბატონიშვილო, ნუ დასცინი ჩემს წმიდა გრძნობას.

თ ე კ ლ ე — შენ თუ გაქვს რაიმე გრძნობა?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მეფის ასულო! უღრმესი არის ჩემი თქვენდამი პატივისცემა!

თ ე კ ლ ე — რა არის ეგ პატივისცემა? მე ბებიაჩემისაგან გამიგონია, რომ მოხუცს და ჩაჩანაკს უნდა პატივისცემაო.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — არა, ბატონიშვილო! მე თქვენ მიყვარხართ!

თ ე კ ლ ე — ნუთუ მართლა?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — გეფიცები!

თ ე კ ლ ე — ცოტად გიყვარვარ, თუ ძალიან?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — თავდავიწყებამდე.

თ ე კ ლ ე — როგორ თუ თავდავიწყებამდე? მაშ თავდავიწყების იქით აღარ გიყვარვარ?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — დიახ, იქითაც, ბატონიშვილო! მე არ დავზოგო სიცოცხლე ჩემი.

თ ე კ ლ ე — ვისთვის?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — თეკლე ბატონიშვილისთვის.

თ ე კ ლ ე — შენ ხომ სთქვი, ჩემი სიცოცხლე მეფეს ეკუთვნისო.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მეფეს ეკუთვნის ქვეყნის გაჭირვების დროს, დანარჩენ შემთხვევაში...

თ ე კ ლ ე — ეგ კარგად მითხარ! ახლა მეც რომ სამაგიერო გრძნობით გიპასუხო, შენ რას მოიმოქმედებ ჩემთვის?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მეფის ასულო!
თუკი ღირს გამხდი ბედნიერების,
ყოველი ჩემის შესაძლებლობით
თვალმარგალიტის კოშკი აგიგო,
ფარჩა-ატლასით იგი შეგიმკო,
ედემის მსგავსი ბაღი გიშენო,
რომ ნეტარებით სცხოვრობდე მარად
და აგისრულო, რაც კი ინატრო!
და თუ დაგჭირდეს დღეგრძელობისთვის,
ჩემი სიცოცხლეც შენ შემოგწირო!

თ ე კ ლ ე — ეგეც კარგად მითხარ, მაგრამ, ვგონებ, შენ ბესიკის, ლექსით მეშაირები. (იცინის). ნუ გამიწყრები! მე არ დაგცინი! არა, ჩემო ვახტანგ! მე შენ თანაგიგრძნობ, მაგრამ ჩემი პასუხიც მოისმინე.
ვერ დაგიწუნებ ვერც ზრდილობას, ვერც სიყმაწვილეს,
ვერც სილამაზეს, თვალტანადობას!
ქების ღირსი ხარ და უღრმესი პატივისცემას!
მაგრამ, ძვირფასო, ხომ შესაძლოა
გამოჩნდეს ვინმე უღრო საჩინო
და შენზე მეტად შემკობილი თვალტანადობით?
ისიც შენსავით ვაჟი იქნება,

მიიღებს ჩემგან მარტოოდენ პატივისცემას!
ხოლო მე ვისაც ჩემს გულს გადავცემ
და სიყვარულით შევუერთდები,
ის უნდა იყოს...

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — როგორი? მითხარ!

თ ე კ ლ ე — მას უნდა ჰქონდეს გამოვლილი მტერთან ბრძოლანი და ლამაზ სახეს უმშვენებდეს ჭრილობის დაღი!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ჭრილობის დაღი?

თ ე კ ლ ე — ხომ არ გეწყინა ჩემი პასუხი?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — შენი პასუხი მე მაქეზებს დიდი საქმისთვის და თუ მომეცა მე შემთხვევა...

თ ე კ ლ ე — მაშ შემომფიცე, რომ ვიდრე საგმირო საქმეს არ მიჩვენებ, მანამდე შენ იქნები ჩემი კარგი მეგობარი და ჩემი ბრძანების ამსრულებელი. რომ შენ ხმა-კრინტს აღარ დასძრავ.. შემომფიცე!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ვფიცავ...

თ ე კ ლ ე — ეგრე არა! ფიცს ეგრე არ წარმოსთქვამენ. უნდა დაიჩოქო და სამი თითი შუბლზე მიიდო.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — (იჩოქებს). ვფიცავ.

(ამ დროს გამოდის ერეკლე და ამ სცენას უცქერის).

ე რ ე კ ლ ე — ვხედავ, ჩემს ასულს ვაჟკაცები გადაურევია! ვახტანგ, შენ აქ რა ლიტანია გაგიმართავს? თეკლე! მე ხომ ვთქვი, ცხენზე ჯირითს თავი დაანებე-მეთქი.

თ ე კ ლ ე — ჯირითზე უკეთესი რა არის ქვეყანაზე? ამას მირჩევ, თავი დავანებო? კარგი საქმე ხომ შენი მოსაწონიც არის!

ე რ ე კ ლ ე — ორბელიანო! შენ ჩემს ბრძანებას ასე ასრულებ?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მაპატიე, მეფეო! მე ბატონიშვილთან რას გავაწყობ, როდესაც დედოფალსაც კი არ ემორჩილება.

თ ე კ ლ ე — დამორჩილება მესმის, მაგრამ არა ისეთი, როდესაც სურვილს და თავისუფლებას უსპობს ადამიანს!

ე რ ე კ ლ ე — თეკლა-ბიჭო! შენ თუ ცელქობა არ მოგიშლია და ისე არ მოქცეულხარ, როგორც ბატონიშვილს შეფერის, დაგამწყვდევ ნარიყალას ციხეში და იქ იჯირითე, რამდენიც გენებოს.

თ ე კ ლ ე — დამამწყვდევ? მერე დამწყვდევა შეფერის ბატონიშვილს? საქმე გამიჭირა ამ თქვენმა ბატონიშვილობამ. აჰა, წაიღეთ, აღარ მინდა თქვენი ბატონიშვილობა!

ე რ ე კ ლ ე — ჩემო გიჟო! კარგი! კარგი! სადუხ-ბეგ! მაშ ასე.... შენ ისევ შენი ბატონის რჩევით იმოქმედებ, ხოლო უთუოდ შე-

ატყობინე: გამაგრდეს იბრაჰიმ-ხანი! ჩვენ მფარველობას გვიწევს დიდი რუსეთი! მარტო არ ვიბრძოლებთ.
ვიდრე ჯარს შევკრებ
და ვიდრე ავშლი საქართველოს კიდით კიდემდე,
შვიდი დღე მინდა, მტერი შეჩერდეს.
მტერს გაუძნელდეს ჩქარი წამოსვლა,
სავალი გზები ჩაიხერგოს და მოეჩვენოს.
ვითომ თავდასხმა ჩვენგან წარმოებს.
ვახტანგ! წარუძეხ რაზმს!.. მტრის შეჩერება შენ
უნდა შესძლო!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ბედნიერი ვარ მაგ დავალებით!

ე რ ე კ ლ ე — შენ კი, სადუხ, შენის გზით წახვალ, როგორც გიბრძანა იბრაჰიმ-ხანმა!

ს ა დ უ ხ — როგორც კი გადავცემ თქვენს დავალებას, მე ისევ აღა-ხანის ბანაკში გეგულებოდეთ. (გადიან).

თ ე კ ლ ე — ჭრილობის დაღი და ხელი ჩემი!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — შევძლებ, ბატონიშვილო.

ციციშვილის კარმიდამო

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — რა ჰქენ?

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — ჩავარდა!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — მთელის რაზმით?

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — რაზმი სადღაა, ერთი კაციც არ გადარჩენილა.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — თვითონ ვახტანგ ორბელიანი?

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — ორბელიანი მართლა ვაჟკაცი ყოფილა, მაგრამ ბოლოს ისიც შეუბოჭიათ
და ცოცხალი წაუყვანიათ.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — მაშ რა ეგონა ერეკლე მეფეს?
რომ მოაჩვენა,
ვითომ პირველი თავდასხმაზე გადადიოდა,
ხომ ჩაეფუშა მას ეს განზრახვა!
სხვა არაფერი?

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — აბა, სხვა რაღა?
აღა მაჰმად-ხანს დიდი მადლობა შემოუთვლია!
კვლავაც წყალობას მოელოდეო!
რევაზ ბატონო, იმ წყალობის დროს,
მე იმედი მაქვს, გაგახსენდები!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — **რა დროს ეგ არის!**
შენ ის მითხარი,
არღუთიანთან გასაგზავნი კაცი მზად არის?

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — იესე უზბაშზე უკეთესს სხვას ვის გამოვნახავ.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — მეფის ძაღლია!

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — მაგას რად ბრძანებ?
მისი კაცობა და მისი ქუდი
მეფეს მიწასთან გაუსწორებია,
სამსახურიდან დაუთხოვნია
და აღარ იცის,
სად ჯანდაბაში გადაიკარგოს.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — კეთილი! კეთილი!
რაკი ენდობი, მაშ ეს წერილი
იმან გადასცეს არღუთიანს და გაუფრთხილდეს.
სომხებთან რაღა გაარიგე?

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — ვაჰ, ამ სომხების საქმე, ჩემი **სიყრმის**
მზემ, ვერ გამიგია!
ვაჰ, ვაჰ, კაცო, ეს რა ხალხია?
წვრილი ვაჭრები და ხელოსნები
გუშინწინ ჩემს მზეს ფიცულობდნენ.
სოლომონმა კრება გამართა,
შეულოცა თუ ჯადო დაუგო,
ახლა სულ იმის მზეს ფიცულობენ.
სომხის სოვდაგრებიც სოლომონმა **გააგიჟა.**
იმის შეგულიანებით ვიღაც მდიდარ შეხრამიანთან
კალუგაში წერილი გაგზავნეს:
„ერეკლე მეფე ჩვენი მფარველია და ოქროები გამოუგზავნეო“.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — მაშ არა სცხრება ლეონიძე?
იმასაც მალე მოეგრიხება კისერი!
ვითომდა ქვეყნის მოამაგეა,
იქ რუსეთს იგი ელაციცება, აქ კი **ოსმალეთს,**
არც ირანს სტოვებს;
იმერეთს თავი მოაბეზრა მოპატიჟებით.
ცბიერი ცდილობს: ძირგამომპალი ერეკლეს ტახტი გადაარ-
ჩინოს,
მაგრამ ოინბაზს ცდა ჩაუვლის სრულად ამაოდ!
ირანის ხანმაც კარგად იცის, რომ ხუცესის ვიღაც ნაგლეჯი

ტრაქტატებზე ვიცეკანცლერობით ხელს აწერს. უჯიშო,
უგვანო.
მაგის მეოხებით დავკარგე ქართლის ვექილობა.
„ყმები რად გაყიდე ახალციხის ბაზარზეო?“.
როგორ თუ რად გავყიდე?
ათადან-ბაბადან ყმაც ჩემია, მამულიც, ქართლიც!

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — აი, აი! მეც მანდ ვარ!
მეც სოლომონ ლეონიძემ მომდო შარი:
„მოღალატე გივი ამილახვარს ემხრობოდიო“:
და რა ქონებაც ნაყიდი მქონდა ამილახვრისაგან,
მან სულ წამართვა.
შენმა მზემ, ამილახვარს ჩემგან სულ ბაჯაღლო ოქრო
მიქონდა.
„მოიტა საბუთიო“.
კაცო, ამილახვარს მე საბუთს შევკადრებდი? მიქონდა რაღა.
ლეონიძემ კი დამსვა ცარიელზე!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — ფანოზაშვილო! ყველაფერს მე დაგიბრუნებ.

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — შენს თავს შემოვევლე.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — მხოლოდ ამქრები მოიბირე.
ხელოსნები დაიყოლიე... ყველას დაპირდი შეღავათი!

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — ენდე ჩემს მარიფათს.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — ზოგიერთ სანდოს გაანდე კიდეც.
მხოლოდ სიფრთხილით,
რომ ჩვენ ძლიერი გვეხმარება
და იგი უკვე საზღვარზეა უამრავ ჯარით.

მ ხ ლ ე ბ ე ლ ი — (შემოდის). ბატონო რევაზ, ამბავი სასიხარულო!
შენი და მარიამ დედოფალი!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — მოულოდნელია! კახეთიდან რამ აიძულა?

მ ხ ლ ე ბ ე ლ ი — აგერ, მობრძანდება!

(შემოდის მარიამი).

მ ა რ ი ა მ — ძმაო რევაზ! დიდი ხნის უნახავო...

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — ძვირფას დაიკოს ჩემი სალამი!..

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — დედოფალო, ბედნიერი ვარ...

მ ა რ ი ა მ ი — მომაქვს უსაზღვრო სიხარული!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — მხიარულება ნუ მოგიშალოს მამა უფალმა.

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — ამინ! ამინ! (პირჯვარი).

მ ა რ ი ა მ ი — ჩემი მეუღლე მეფე გიორგი ბედნიერია!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — ძვირფასო დაო, გულდასმით გისმენ!

მ ა რ ი ა მ ი — ყველასათვის სათაყვანო ჩემმა მამამთილმა — მეფე ერეკლემ, დათესა სიტკბო ნათესავთა შორის და ამიერიდან აღარ იქნება შფოთი, ანღრევა და ძმათა სიძულვილი!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — მარიამ! განა რა მოხდა?

მ ა რ ი ა მ ი — მე მსურს პირისპირ ძმასთან საუბარი!

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — ბოდიშს ვიხდი, დედოფალო!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — ფანოზაშვილო, იქ შეეხვდებით!

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — დიახ, ბატონო! (ფანოზაშვილი გადის).

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — აბა, მიამბე, რამ შეასხა ფრთები შენს სიხარულს?

მ ა რ ი ა მ ი — უფრო მეტად გიორგი მაჩქარებდა: მომესწრო შენთვის და ნუგეში მეცა. ეს ამბავი მოხდა ხუთი დღის წინათ, სრულიად მოულოდნელად.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — მარიამ! დაწყნარდი და დამშვიდებულმა გამაგებინე.

მ ა რ ი ა მ ი — აი, გეტყვი. წყრომა ჩაიკალ!
წყენა სიხარულად შეცვალე,
სამდურავი მადლობად.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — არ მესმის!

მ ა რ ი ა მ ი — ვიცით, შენს წყრომას მეფისადმი აღრმავებდა ის გარემოებაც, რომ ერეკლემ გიორგისაც აწყენინა ანდერძის წიგნით, რომლის ძალითაც უკარგავდა ტახტის მემკვიდრეობას მის შთამომავლობას.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — მერე?

მ ა რ ი ა მ ი — ხომ გითხარ: შენი წყრომა ქარს უნდა გაატანო, რადგან ჩემი მეუღლე გიბრუნებს ქართლის ვექილობას, რაშიაც გამოგწირა ჩემმა მამამთილმა.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — მაინც არ მესმის!

მ ა რ ი ა მ ი — გიორგიმ იცის შენი ხასიათი და მუდამ აფიქრებდა: ამ გაჭირვებულ დროს ისეთი ნაბიჯი არ გადაგედგა, რაც ჩვენს ქვეყანას მეტ ზიანს მიაყენებდა. შემოსეული მტერი ეძებს შიგნით მოკავშირეს, ეძებს უკმაყოფილო ხალხს, რომ ციხე შიგნიდან ადვილად გატეხოს.

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — ფრიად გასაგებია. მაგრამ შენი სიხარული რაზედ ემყარება?

მ ა რ ი ა მ ი — გონებით ნათელმა ერეკლემ დაარღვია ანდერძი. წერილობით ატყობინებს გიორგის: ძმებისადმი მიცემულ ანდერძზე, მართალია, მაიძულეს და ხელი მომაწერინეს, მაგრამ იგი ანდერძი არის არარა და უმართებულო. რაკი ომს

მოვრჩები, შეცდომას გამოვასწორებ და ვფიცავ ზეციერს, ვერავინ შესძლებს დამარღვევინოს შენი უფლებაო. განა ეს ბედნიერება არ არის?

ციციშვილი — (ხარხარებს). რა გულუბრყვილო ყოფილხარ, შენც, შენი ქმარიც! რატომ დღეს მისწერა ეგ საბოდიშო წერილი და არა ამ ერთი წლის წინათ?
ნუთუ გონიერ მეფეს არ ეცალა?
რატომ უგზავნის უბრალო წერილს და არა იმ ანდერძს, რომელსაც უმართებულოს ეძახის, რომ შენს მეუღლეს იგი დაეხია, მოესპო, ფერფლად ექცივნა?
ნუთუ ის ანდერძი მის ხელთ არ იყო?
არა, მარიამ! უგზავნის უბრალო ქაღალდის ნაფლეთს, რადგან დღეს უჭირს ერეკლეს, ამით სურს შენი გიორგის გული დაამშვიდოს და მოიბიროს...

მარიამი — სცდები, რევაზ! იმ წერილსაც სახელმწიფო ბეჭედი აზის!

იმ წერილით გაუქმებულია ანდერძი!

ციციშვილი — ვინ გააუქმებს, როდესაც დარაჯად დარეჯანი უდგას — ძუ ვეფხვი და თუ მიეკარე, გაგფათრავს! მის წინაშე შენც, შენი მამამთილიც და შენი გიორგიც უმწეო კრავები ხართ. ერეკლეს სულ მალე მოეღება ბოლო და მაშინ, ვაი თქვენ ყველას! და განა ჩემი წყრომა, ანუ უკმაყოფილება, მარტო იმით არის გამოწვეული, რომ მე ერეკლემ წამართვა ქართლის ვექილობა, ხოლო ჩემს სიძეს — ტახტის მემკვიდრეობა? არა, მარიამ! მარტო ეს არ არის! მე არ მწამს რუსეთის...

მარიამი — ღმერთო, რა მესმის! შენ ილაშქრებ იმ დიდი საქმის წინააღმდეგ?

ციციშვილი — ერეკლეს უბრალო წერილი ჩემს აზრს ვერ შესცვლის! მე ჩემი ღმერთი მწამს, თქვენსას ნუ დაივიწყებთ, და იქნებ შევესწროთ, თქვენც ჩემს ღმერთზე ლოცულობდეთ.

მარიამი — რევაზ! რას ნიშნავს შენი გამწარება?

ციციშვილი — ახლა, როდესაც ჩემს სანატრელ მიზანს ვუახლოვდები, როდესაც უნდა დაკრას ერეკლეს საბედისწერო ჟამმა, შენი ქმრის შეძახილით ფარ-ხმალი დავყარო და გიორგის სტვირზე ავთამაშდე? არასოდეს!

მარიამი — რევაზ, შენ ღალატი განგიზრახავს!

ციციშვილი — მხოლოდ სიკეთე! დიახ, სიკეთე!

მარიამი — ეგ რა სიკეთეა, როდესაც შენ მიიმართები წინააღმდეგ შენი მძახლის და ჩვენი მეფისა. რევაზ, ძმაო, გაიხსენე ჩვენი ბავშვობა, მაშინ შენი დაიკო გიყვარდა, ანებივრებდი! გეხვეწები: გული მოიბრუნო, თხოვნა შემისრულო, აი მუხლს ვიდრეკ, ძმაო საყვარელო... მე შეგარიგებ მეფე ერეკლესთან, გწამდეს, შეგარიგებ!

რევაზი — არა, მარიამ! არა, დაო! თხოვნა შენი ამაო არის.

მარიამი — ჩემს თხოვნას უკუაგდებ?!

რევაზი — შენ არ გესმის, თუ ჩემი უკან დახევა რა საზარალოა ყველასათვის!

მარიამი — მაშინ მე გიბრძანებ, როგორც დედოფალი კახეთისა და მეუღლე გიორგისა.

რევაზი — ერეკლე თქვენი დამღუპველია!
ვითომდა გონიერმა მეფემ საშუალება გამონახა
ხალხის საბედნიეროდ; რუსეთში გაგზავნა მათხოვრები
და კავშირს ემუდარებოდა. ამით აიმხედრა მთელი
სამუსულმანო და, აბა, სად არის რუსეთი?
ირანის შაჰი რისხვით აელვებს მახვილს და მალე
ეს მახვილი მოედება ქართლსა, კახეთსაც.
აბა, სად არის რუსეთი?!
იგი არ მოვა!
ერეკლეს ჯიუტობით
განიწირება ქართველი ხალხი!
დაანგრევენ ჩვენს სოფლებს და ქალაქებს,
შემუსრავენ ყველაფერს, ქვას ქვაზე არ დასტოვებენ!
და ეს რატომ? რისთვის? ვისი წყალობით?
გონიერი მეფის ერეკლეს წყალობით!

მარიამი — გონს მოდი, რევაზ! ძმაო,
დედ-მამას გაფიცებ... ჩემს შვილებს გაფიცებ...
გული მოიბრუნე, ნუ იზამ მტრობას,
მეც გეხვეწები, ჩემი გიორგიც.

ციციშვილი — დაბრუნდი უკან გიორგისთან და მოახსენე:
ნაქები ვახტანგ ორბელიანი
თავისი რაზმით უკვე მისრისეს,
და მალე მისრესავენ ბებერ ერეკლესაც.
ამიტომ მოემზადოს, რათა თაყვანი სცეს ირანის მბრძანებელს.

ახლა მშვიდობით,
და გაფრთხილებ, ისევ შენი ბედნიერებისთვის...
(გადის).

მ ა რ ი ა მ ი — ღმერთო, იესო მაცხოვარო, რა ვქნა? რა ვიღონო?
მე რა იმედით მოვდიოდი და აქ რა დამხვდა...

(ფიქრის შემდეგ).

არა, რევაზ, ნებას არ მოგცემ!

ერეკლეს სასახლეში.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ასე ანაზდად მისი ჩამოსვლა
კეთილს არ უნდა მოასწავებდეს...
უთუოდ ფიქრობს ომში ერეკლეს მარცხი მოუვა
და სანამ იგი ცოცხალი არის,
ანდერძის წიგნი დაარღვევინოს.
არა, მარიამ! ამაოდ ფიქრობ!
სიცოცხლეს დავთმობ, მაგრამ არასგზით
ჩემი შვილების ბედნიერებას!
ერეკლეს შემდეგ მე ვარ პირველი!
სამეფო ტახტზე პირმშო ძე ჩემი
და არაოდეს გერი გიორგი!
აგერ! აქ მოდის! სად იყო ნეტა?
ვისთან არიგებს თავის საქმეებს?
არ შეგახვედრებ მარტოკა მეფეს...

(გადის, შემოდის მარიამი).

მ ა რ ი ა მ ი — ნეტა კი მყავდეს ღვთისნიერი ვინმე მრჩეველი!
ჩემი მუდარა არ შეისმინა,
არცა თავის ღვიძლს დამდო პატივი!
როგორ შევხედო მეფეს თვალებში?
თუ არ გადავდგი მტკიცე ნაბიჯი,
მაშინ, ო, ღმერთო, ქვეყანას ღუპავს
და თავის თავსაც!
რომ შევხვდებოდე ახლა ერეკლეს...
არ შემიძლიან!
ოხ, რევაზ, რევაზ,
ძმავ უბედურო, რად ჩამაგდე საგონებელში?
თ ე კ ლ ე — ძალო მარიამ, შენი ჭირიმე, მითხარ, რა მოხდა?
მ ა რ ი ა მ ი — არაფერია, შვილო, არაფერი!
თ ე კ ლ ე — შენი ჭირიმე, ძალო, ვგრძნობ, თქვენ რაღაც იცით.
მ ა რ ი ა მ ი — არაფერია, ჩემო კუდრაჭავ.
თ ე კ ლ ე — გიორგი ძიას გაფიცებ, მამას გაფიცებ.

მ ა რ ი ა მ ი — ღვთის გულისათვის, გოგონა!
თ ე კ ლ ე — ალბათ, ვახტანგისგან წერილი არის.
მ ა რ ი ა მ ი — ფრთხილად, ჩემო გოგონი! ამ ამბავს დედამისი ვერ
გადაიტანს.
თ ე კ ლ ე — დედას ვფიცავ, ფრთხილად ვიქნები. მეტყვით? არ
მეტყვით?
მ ა რ ი ა მ ი — მოიცა, შე ალქაჯო! ჩვენი ვახტანგი...
თ ე კ ლ ე — მოჰკლეს?
მ ა რ ი ა მ ი — არა! (ჩუმად). აღა-მაჰმად-ხანს ტყვედ ჩაუგდია!
თ ე კ ლ ე — ვახტანგი?!
მ ა რ ი ა მ ი — დაიფიცე, რომ არავის ეტყვი. მე წავალ და მის დე-
დას ამ მწარე ამბისთვის შევამზადებ.
თ ე კ ლ ე — ვფიცავ, ვფიცავ, ყველაფერს ვფიცავ. მაშ ვახტანგი
აღა მაჰმად-ხანის ტყვე არის?! (მარიამ დედოფალი გავიდა. შემო-
დის როდამი, მას მოსდევს პატარა თეიმურაზი).

როდამ! ჩემო დაიკო! იცი, ვახტანგი...
რ ო დ ა მ ი — რა, ვახტანგი?
თ ე კ ლ ე — აღა-მაჰმად-ხანს დაუტყვევებია.
რ ო დ ა მ ი — ჩემი ძმა ვახტანგი? (ტირიან).
თ ე ი მ უ რ ა ზ ი — აი, აი ქალების საქმე! ცრემლების მაგიერ ის
სჯობია ვიფიქროთ, როგორ ვიხსნათ კაცი ტყვეობიდან.
რ ო დ ა მ ი — შენ ეგ ვინ გითხრა?
თ ე კ ლ ე — მითხრა... ძალუა მარიამმა!
და მას არა აქვს საშუალება,
რომ ვაჟკაცობით კვლავ თავი იხსნას!
ბედმა მას ასე რისთვის არგუნა?
მგონია, თითქოს მე მიმიძღოდეს დანაშაული.
რ ო დ ა მ ი — შენ რატომ, ჩემო ძვირფასო თეკლე?..
თ ე კ ლ ე — იმ დღეს, როდესაც მას ვახელებდი, ვუთხარ:
„მიჯნურსა უნდა უჩვენო საქმენი საგმირონია“
და მამაჩემმაც შეგვასწრო თვალი...
და, თითქოს განგებ, მტერთან შეხვედრა მას დაავალა.
თ ე ი მ უ რ ა ზ ი — აბა ერთი მე ვყოფილიყავ ვახტანგის მაგიერ, იმ
შენს აღა-მაჰმად-ხანს კისერს მოვუგრეხდი. იმათ გვამები-
საგან მთას დავდგამდი. ვაჟკაცი იმ მაიმუნებს ტყვედ რო-
გორ ჩაუვარდება?
თ ე კ ლ ე — გაჩუმდი, თეიმურაზ! შენ სულელი ხარ!
თ ე ი მ უ რ ა ზ ი — სულელები თქვენ ხართ. დამდგარხართ და
იცრემლებით!

ر ო დ ა მ ი — გახსოვს, თეკლე?

თ ე კ ლ ე — ვახტანგი? ახ, როდამ, რაკი ერთხელ შემიყვარდა, რაც უნდა დაგვემართოს ან მას, ან მე, ჩემს სიცოცხლეში მე სხვას არ შევიყვარებ!

თ ე ი მ უ რ ა ზ ი — ეგ არი, შენი სიყვარული დაიხსნის მას ტყვეობიდან.

თ ე კ ლ ე — თაზიკო, შენ სულელი ხარ!

თ ე ი მ უ რ ა ზ ი — მე ვარ სულელი? მოიცა, პაპას თუ არ ვუთხრა შენი ცრემლების ამბავი!

(თეიმურაზს დაედევნებიან. შემოდიან სოლომონ ლეონიძე და დავით ბატონიშვილი).

ს ო ლ ო მ ო ნ ი — აი, მოისმინეთ გენერალ-გუდოვიჩის წერილი და მაშინ დარწმუნდებით, ბატონიშვილო დავით, რომ მე მართალს მოგახსენებთ.

დ ა ვ ი თ ი — კეთილი, წამიკითხე!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მეფე ერეკლეს გუდოვიჩი მწუხარებით ატყობინებს, აი ის ადგილიც:

„ჩემის მთავრობის განსაკუთრებულ განკარგულებამდე არ მაქვს უფლება დავძრა ჯარი მოზდოკიდან“.

აი, ბატონიშვილო, ვგონებ ყველაფერი გასაგებია.

დ ა ვ ი თ ი — დიახ, დიახ... გასაგებია... მაგრამ სანამ ეგ განსაკუთრებული განკარგულება მოხდება — სანამ ის მისწერს, სანამ მოსწერენ, გამოირკვევა მდგომარეობაც და მაშინ ვიღას რას არგებს ან ჯარი, ან დახმარება? დღეს უკვე სექტემბერია და მტერიც საცაა თბილისის მიდამოებს მოადგება... ეს მოტყუებაა და სხვა არაფერი!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ბატონიშვილო, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფოთა ურთიერთ დახმარება, თუ კავშირი, მარტო რომელიმე მეთაურის სურვილზე არ არის დამოკიდებული. შესაძლებელია, რუსთა მთავრობას ძალიან გულითაც სურდეს ხელი გამოგვიწოდოს, მაგრამ მას თავის უნებურად აჩერებდეს სხვა დაუძლეველი მიზეზი, რომელსაც სხვა მეზობელი სახელმწიფო უქსელავს. ხომ მოგეხსენებათ, რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ერეკლეს მიერ ახალციხის ფაშასთან დადებულ ხელშეკრულების ძალით, საქართველოში რუსეთის მხედრობა 3.000-ს არ უნდა აღემატებოდეს და ახლა კი ექვს პოლკსა ვთხოვთ დამატებით. ჩვენ უნდა ხელშეკრულება დავარღვიოთ ახალციხის ფაშასთან, ხოლო რუსეთმა ოსმალეთთან. რუსეთის ბრწყინვალე კამპანია კი მოლდავია-ბესარაბიაში, მარტო ოსმალეთს კი არა, ევროპასაც არ ასვენებს. ჯერჯერობით დაპირების მეტს ჩვენ რუსეთიდან ვერაფერს მივიღებთ!

დ ა ვ ი თ ი — დიახ, დიახ, მართალი ხარ! ეგ იცის უთუოდ ერეკლემაც, მაგრამ სხვა გზა არ არის; კანცლერო, ქართველი ხალხის მაღალ კულტურას გამოსავალი გზა სჭირდება და სჭირდება განთავისუფლება საუკუნეობით ჩაჭედილ აზიის ველურ ტომების უღლიდან! როგორც ნეტარხსენებული პეტრე დიდი იღვწოდა და რუსის ხალხისთვის გახსნა ფანჯარა ევროპისაკენ, ისე ერეკლე ცდილობს გახსნას კარი დარიალისა, სინათლისაკენ საქართველოსთვის, რომელიც ღირსია უკეთესის ბედისა და მერმისისა, ვიდრე ამას სპარსეთის აღა-მაჰმად-ხანი ანდა ოსმალეთის სულთანი უქადის. მოხსენდა მეფეს ამის შესახებ? ან შენ რას აპირებ?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — დიახ, მოხსენდა და უკვე წერილიც გავამზადე მისი ბრძანებით გენერალ-ანშეფ გუდოვიჩთან.

დ ა ვ ი თ ი — მეფის ძე ბატონიშვილები სადღა არიან?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მეფის ძე ბატონიშვილები ჩაიკეტნენ თავ-თავის სამფლობელოებში და მამის მძიმე მდგომარეობას იოლად უცქერიან.

დ ა ვ ი თ ი — აქ მობრძანდება დედოფალი, ქეთევანი — დედა ვახტანგისა, მარიამ დედოფალს ხელით უჭირავს, არ უნდა იყოს კარგი ამბავი.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მე გაგეცლებით, ბატონიშვილო, და, თუ მიკითხონ, მოახსენეთ, მეფეს ახლავს-თქო. (გადის).

დ ა ვ ი თ ი — ჭკვიანია სოლომონი! იცის, დედოფალს ეჯავრება, მეფის ჩრდილში კი ქვეყნის საქმეს კარგად აკეთებს.

(შემოდიან: დარეჯან დედოფალი, ქეთევან და მარიამ დედოფალი. დავით ეახლება დარეჯანს, ხელზე ეამბორება).

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — არა, ჩემო სანუკველო ქეთევან! საშიში არაფერია! მით უმეტეს, თუ მართლა ტყვედ ჩავარდა ვახტანგი, სიცოცხლე მისი დაზღვეულ იქნება. აი, დავითიც დამიდასტურებს, რომ ერეკლე ბატონი მორიგებით გაათავებს აღა-მაჰმად-ხანთან და შენს შვილს ვახტანგს ტყვეობიდან გამოისყიდის. აღა-მაჰმად-ხანი ვერ შესძლებს თავდასხმას, როდესაც ჩვენ მოკავშირედ და მფარველ-შემწედ გვყავს მისი დიდებულება იმპერატრიცა ეკატერინე.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — რა გააძღობს უმაძღარ საჭურისს? ის ჩემს შვილზედაც შურს იძიებს. ნადირ-შაჰი თავის სადგომსა და სამლო-

ცველოს შორის დაასაფლავებინა, რათა ყოველ ლოცვის დროს ფეხით გადაეთელა შაჰის საფლავი და ბოროტი გული დაეკმაყოფილებინა.

მ ა რ ი ა მ ი — რაც უნდა ქნას, ნადირ-შაჰის ბრწყინვალე გვირგვინს მაინც ვერ ეღირსება.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — ოღონდ ღვთისმშობლის წილხდომილს ჩვენს ქვეყანას აშოროს მისი ბოროტი ხელი და... ის ერთი ვაჟიც შემიწირავს...

დ ა ვ ი თ ი — ცოცხალი გვყავდეს მეფე ბატონი, არა არის-რა უსაშველო. პაპას ისეთი გეგმები აქვს, ევროპის ბევრ დიდ ხელმწიფესაც შეშურდება.

მ ა რ ი ა მ ი — ფრიად საოცარია! სად შესწევს ამდენი ღონე, ან სად პოულობს დროს, რომ არ სტოვებს არც ერთ წიგნს წაუკითხავს და ყოველ გეგმას თვითონ იხილავს.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — თქვენ მზეს ვფიცავ, როდისღა სძინავს, თუ ვიცოდე, დღის სინათლე მომენატროს! გახსოვთ, ერთხელ ლეკები რომ გამოჩნდნენ სადილობის ჟამს დიღომში, სადილი არ ინება და მათ დაედევნა, როცა სახლში დაბრუნდა და, ის კი იყო, პური უნდა ეჭამნა, მოახსენეს, მოთარეშენი ტაბახმელასთან გამოჩნდნენო. ახლა მათ დაედევნა, მხოლოდ ვახშმობისას დაბრუნდა, მაგრამ კაცი მოვიდა, მტერი მარტყოფზე დაცემას აპირებსო. უმალ ცხენს მოახტა, მდევარი გააყოლა და მტერი მარტყოფთან დაამარცხა.

ყ ვ ე ლ ა ნ ი—ღმერთმა მისცეს ჯანი და სიცოცხლე! გამარჯვება მტერზე და მუხანათზე ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ე რ ე კ ლ ე — (თავს წამოადგება ამ სურათს). ამინ, თქვენს, მადლსა! (ყველანი წამოდგებიან, თავს დაუკრავენ. ერეკლე გაემართება ქეთევანისაკენ და ანუგეშებს). ჩვენი პატიოსანი ქეთევან დამწუხრებული ჩანს! ვიცი, ქართველი დედა მარტო თავის შვილზე არ სწუხს, მას აწუხებს, ალბათ, ის ამბავი, რომ ქართველებში აღმოჩნდა ვინმე მოღალატე, რომელმაც გასცა ვახტანგი და მტერს ხელში ჩაუგდო. ვახტანგს მე შვილებში არ გამოვარჩევ და, ვფიცავ, ვინც მუხანათურად იგი ხელთ ჩაუგდო საჭურისს, ავგავო საქართველოს მიწიდან ძირ-ბუდიანად. (მარიამს ტირილი წასკდა და წამოიძახა: „მამავ, მეფე ბატონო“. საერთო შეშფოთება. მეფე ყველას გაკვირვებული უცქერის). გთხოვთ ყველას, მარტო დაგვტოვოთ! (ყველანი გავიდნენ. ერეკლე მოეფერა თავის რძალს). ჩემო მარიამ, ძვირფასო რძალო... ჩემო შვილო, დამშვიდდი... შენს თვალებს რატომ უნდა სდიოდეს ცრემლი?

მითხარ, ვინ არის მიზეზი შენი ცრემლებისა? იქნებ მე თვითონ, ჩემს უნებურად, რამე გაწყენინე?

მ ა რ ი ა მ ი — არა, მეფეო!

ე რ ე კ ლ ე — იქნებ ჩემმა გიორგიმ გაწყენინა?

მ ა რ ი ა მ ი — არა, მეფეო, ჩემი გიორგი სათნო ადამიანია!

ე რ ე კ ლ ე — მაშ დედოფალმა დარეჯანმა?

მ ა რ ი ა მ ი — არა, დარეჯანს პატივში ვყავარ.

ე რ ე კ ლ ე — მაშ თვითონ შენ მითხარ, მრავალ ეჭვში ნუ მაგდებ, შვილო, და შენს თავს ვფიცავ, მე და შენშივე დარჩება საიდუმლოდ.

მ ა რ ი ა მ ი — შეწყალებას გთხოვ.

ე რ ე კ ლ ე — ვისთვის?

მ ა რ ი ა მ ი — ჩემი ძმისთვის, რევაზ ციციშვილისთვის.

ე რ ე კ ლ ე — განა რა დააშავა?

მ ა რ ი ა მ ი — ის არის მოღალატე.

ე რ ე კ ლ ე — შენი ძმა, რევაზი?

მ ა რ ი ა მ ი — დიახ! ვიცი და ვიტანჯები! მე კახეთიდან მიტომ გიახელ, მინდოდა შენთვის მეთქვა ყველაფერი... ის შენც გღალატობს, საქართველოსაც.

ე რ ე კ ლ ე— თავს ნუღარ შეიწუხებ, ჩემო მარიამ. მიხვედრილი ვარ ყველაფერს, უთუოდ ვახტანგიც მისი დაღუპულია.

მ ა რ ი ა მ ი — მაინც ძმა არის, მისი ცოლ-შვილი მებრალება. ამიტომ გთხოვე წინასწარ შეწყნარებას.

ე რ ე კ ლ ე — მე შენი თხოვნა უარ არ მიყვია.

მ ა რ ი ა მ ი — ნუ ინებებ სიკვდილით დასჯას.

ე რ ე კ ლ ე — როგორც შენ გსურდეს. შენ თვითონ დედოფალი ხარ!

მ ა რ ი ა მ ი — გთხოვ, მე მომანდო მისი დასჯა.

ე რ ე კ ლ ე — შენ ბრძენი ადამიანი ხარ.

მ ა რ ი ა მ ი — გავაძევებ საქართველოდან... მას მე ვითავებ. გაძევებულმა თავისი დანაშაული მოინანიოს!

ე რ ე კ ლ ე — არ ღირს შენს ზრუნვად, მაგრამ იყოს ნება შენი.

ს ო ლ ო მ ო ნ — (შემოდის). მეფე ბატონო! გთხოვ, საჭირო საქმეა

ე რ ე კ ლ ე — მოვდივარ!

(გადიან, უმალვე შემოდის დარეჯანი).

დ ა რ ე ჯ ა ნ ი—შვილო მარიამ! რა გვიყავ, ქალო! რა დაგემართა?

მ ა რ ი ა მ ი — მაპატიე, დედი!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — აგრე ანაზდად შეჰკივლე მეფეს,

ჩვენ სახტად დავრჩით.
არც კი ვიცოდი, თუ რა მეღონა.
რა ჭირი გქონდა ეგრე მძიმე, რომ ვერ გამანდე?
ჩემზე ხომ არ ხარ, შვილო, ნაწყენი?

მ ა რ ი ა მ ი — არა, დედოფალო!
შენი სიკეთე და მზრუნველობა
დიდად მავალებს!
ნეტა თუ შევძლებ გადაგიხადო!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ეგ ჩემი წმინდა ვალია, შვილო!

მ ა რ ი ა მ ი — შვილებისათვის უანგარო ხარ ნათელი გულით.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — განა გიორგი ნაკლებ მიყვარს ჩემს სხვა შვილებზე?

მ ა რ ი ა მ ი — უფრო ნაკლებ რომ გყვარებოდა,
არც ისურვებდი იმ სიმშვიდეს, რაც ჩვენ გვეუწყა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — და რა გეუწყათ ისეთი, რომ მან აგატირა?

მ ა რ ი ა მ ი — არა, ის ჩემი ძმის გამო იყო.
და რაც სიკეთე თქვენ მიყავით, მან ჩამიმწარა.
უთუოდ ღმერთმა შთაგაგონათ ის სათნო აზრი,
რაიც სპობს მტრობას და სიძულვილს ერთმანეთს შორის.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — და შენი ძმა კი მაინც არ სცხრება?

მ ა რ ი ა მ ი — დიახ, თქვენს მიერ შთაგონებულ ძოწერილ წიგნსაც
არ დაუჯერა!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — რომელ წიგნს, შვილო?

მ ა რ ი ა მ ი — რითაც აუქმებს მეფე-მამა ანდერძის წიგნსა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (გაოცდა, ელდა ეცა). რაო? აუქმებს? ანდერძს აუქ-
მებს და ეს წერილი ერეკლესგან უკვე მიიღეთ?

მ ა რ ი ა მ ი — სახელმწიფო ბეჭედდასმული,
და ჩემმა ძმამ კი...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — შენმა მზემ, ძლიერ გამახარე!
(შემოდის სოლომონი).

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მეფემ ბრძანა: ყოველგვარი ხიფათის ასარიდებ-
ლად დარეჯან დედოფალი ოჯახიანად ანანურში გაემგზავრე-
ბა. მარიამ დედოფალი თავის ძმის საქმეს მოაგვარებს და
კახეთიდან ჯარს მოგვაშველებს.

მ ა რ ი ა მ ი — ბედნიერი ვარ მაგ დავალებით!
მშვიდობით, დედი! ანანურიდან ხმას მოგვაწვდენდე!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — მშვიდობით, შვილო! გიორგი ბატონს დედაშვი-
ლური მოკითხვა მოახსენე. (მარიამი გადის).
კანცლერო! ერთს წამს შეჩერდით.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — დედოფალო, აღელვებული სჩანხართ!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ალბათ, მიზეზიც გეცოდინება.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — გულთამხილავი არ გახლავართ და მაპატიეთ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — მონა, რომელიც თავის ბატონს ქურდავს და
ყელს სჭრის,
მერე თხოულობს პატიებას?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — დედოფალო, მაგას რად ბრძანებთ?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — რად დაამსხვრიე ჩემი იმედი
და რად მოუღე ბოლო ჩემს ზრახვებს?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ნეტა ვიცოდე, რა ბრალსა მდებ, რა დავაშავე,
შემდეგ მიიღე ჩემი თავი ჭირის სანაცვლოდ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — სხვა ვინ იზამდა ამ ბოროტ საქმეს,
თუ არა კაცი ფლიდი, ორპირი?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — გთხოვთ, მაკმაროთ შეურაცხყოფა
და თუ ფლიდი ვარ, ანუ ორპირი,
მეფეა ჩვენი ყველას მსაჯული,
მიჩივლე მასთან! (წასვლას აპირებს).

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — პასუხი გამეც!
რა დაგიშავეს ჩემმა შვილებმა, რომ ვერაგულად
ყელი გამოსჭერ და სამარე მეც გამითხარე?
შენ ხომ იცოდი ანდერძის ძალით
ძე ჩემი უნდა ასულიყო სამეფო ტახტზე!
დამპირდი კიდეც, რომ ამ სურვილს ამისრულებდი,
რად მატყუებდი
და რად გადახველ პირობაზე, ორპირო კაცო,
რომ მეფეს წიგნი ანდერძისა დაარღვევინე?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ანდერძის წიგნი დავარღვევინე?
მე?..
თუ დამიჯერებთ, პირველად მესმის
და უნდა გითხრათ:
თუ მართალია ეგ ამბავი, — დიდად მახარებს!
მაშ მიხვედრილა ჩვენი მეფე თავის შეცდომას
და ამოუწვავს შფოთის გესლი სათავეშივე!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — მაშ შენ ყოფილხარ...

ს ო ლ ო მ ო ნ ი — თქვენ რომ ჩემს რჩევას მოისმენდეთ ოდნავ
გულდასმით
და ვიწრო ზრახვებს ოჯახისთვის უკუაგდებდეთ,
შეიქმნებოდით საყვარელი მთელი ხალხისთვის
და მომავალიც სასოებით მოგიხსენებდათ!

დღეს კი, დარეჯან დედოფალო, აბა რას სჩადით?
უკვე საზღვარზე მომდგარია ძლიერი მტერი,
დღეს არა, ხვალე გაიელვებს ჩვენს თავზე ხმალი!
იმის მაგიერ, მოუწოდოთ თქვენს შვილებს ჯარით,
მოვიდნენ, მამას მოეშველნენ, იხსნან სამშობლო,
ვიღაც ოსეფას ნაჯღაბნზე ხართ გადაგებული!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ო, საზიზღარო, მელაძუავ!
არ შემიძლიან!
ჰეი, მეფეო!
სამართალს ვითხოვ...
მეფევ, მიშველე!

ე რ ე კ ლ ე — (შემოდის).
რა ამბავია, დედოფალო!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — აი, ეს კაცი!.. არ შემიძლიან!
ან ეგ მდაბიო, ან დედოფალი!
ძირს უთხრის მეფეს, ძარს უთხრის ოჯახს.
გვიშხამავს ჰაერს და სუნთქვას გვიხშობს.

ე რ ე კ ლ ე—სოლომონ! მე ხომ გაგაფრთხილე,
დედოფლის წყენას ერიდე-მეთქი!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — წყენას კი არა, მახვილს ლესავს შენთვის, ყველასთვის.
მას ახსოვს მხოლოდ თავისთავი!
ბაგრატიონებს ცოცხლეზს ტახტს უნგრევს,
მკვდრებს კი საფლავში საგინებელს ხდის!
ეგ არის ქვეყნის ამომგდები და მელაძუა!
ყველასთან ქლესა და სხვის გულში შემძვრალი გველი.

ე რ ე კ ლ ე — დარეჯან...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — მაგან მთიელნი ააჯანყა, სხვებს დააბრალა!
მაგან გაყიდა ციციშვილის ხუთი სოფელი!
მაგან ქონება მიითვისა ამილახვრების!
მაგან სოვდაგრებს და წვრილ ვაჭრებს ტყავი გააძრო.

ე რ ე კ ლ ე — მოიცა, დარეჯან!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — მაგის ბრალია, რომ რუსეთი ჯარს არ გვიგზავნის,
მაგან დათესა შუღლი, შფოთი ჩვენს შვილთა შორის.

ე რ ე კ ლ ე — დამშვიდდი, დარეჯან!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — და ახლა, მეფევ, მაგის რჩევით ყელი გვეჭრება.
თუ გიორგისთან წერილი რამ მიგიწერია,
რათა გაუქმდეს დადგენილი ანდერძის წიგნი...

ე რ ე კ ლ ე — მორჩი, დედოფალო?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — გთხოვ, მოიშორო და დაგვამშვიდო!

ე რ ე კ ლ ე — რას იტყვი, სოლომონ! თავს რით იმართლებ?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ადამიანს კი გაიცნობ,
მაგრამ უეცრად რას შეგამთხვევს,
ამას კი ვერ გაითვალისწინებ!
ჩემი ბედი და სიცოცხლე შენს ხელთ არის, ჩემო ხელმწიფევ,
და როგორც დამსჯი, მორჩილებით ყველას ავიტან!
მე ამის მეტს ვერაფერს გეტყვით!

ე რ ე კ ლ ე — დარეჯან! შე კაი ქალო,
ამდენი ხანი ვწიეთ უღელი,
აგერ ერთმანეთს შევაბერდით და ახლა, როცა
ჩვენ ორნი ვიმკით უკანასკნელ სიცოცხლის ნაყოფს,
ნუთუ არ ძალგვიძს, რომ ავცდეთ წყენას
და ჩვენს ბედ-იღბალს დავემორჩილოთ?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ბატონო მეფევ!

ე რ ე კ ლ ე — დედოფალო, შენთვის სჯობია
ახლავ მიბრძანდე ანანურში!

(დედოფალი უკმაყოფილო და სოლომონზე გაბრაზებული გადის).

სოლომონ ჩემო!
თუ ნათლად ხედავ ჩემს მწარე ხვედრს,
რაიც მივიღე დედოფლისგან გვირგვინოსანმა,
იმედს არ ვკარგავ,
ამ შენსა წყენას დღეევანდელსაც მე მაპატიებ.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ჩემო ხელმწიფევ, ნუ ინებებ!
წყენა რას ჰქვიან? როს თქვენი ნდობა და ნუგეში
თქვენს მორჩილ მსახურს მუდამ წინ მიძღვის
ქვეყნის მართვა-გამგებლობაში.

მოქმედება მეორე

აღა-მაჰმად-ხანის კარავი

ა ღ ა — ჩემს კარავს მხოლოდ მაზანდარელებმა უდარაჯონ!
სხვამ არავინ!
ს ა ფ ა რ — მცველებს მორიგეობს ალი-სადუხ-ბეგი,
დიდო მბრძანებელო!
ა ღ ა — ალი-სადუხ-ბეგი? ვინ არის სადუხ?
ს ა ფ ა რ — შენმა ერთგულმა სარდალმა ამოარჩია სხვა
მრავალ ერთგულთა შორის!
ა ღ ა — ცუდ სიზმრებს ვხედავ, თუმც ცუდი სიზმარი დღეს
კეთილად ამიხდა.
მე ხომ გიბრძანე, ის ტყვე სასწრაფოდ წარმოგედგინა?
სად არის! ვინ არის?
ასე ასრულებ შენ ჩემს ბრძანებას?
ს ა ფ ა რ — ის ტყვე აქ გახლავს, მზეო ირანისავ!
ა ღ ა — საფარ! შენი ყური ვეღარ ისმენს!
ყურებს გაუფრთხილდი! ჩქარა შემოიყვა! (მეორე ნაზირს).
დაჯილდოვდეს, ვინც გვამცნო ორბელიანის ღალატობა,
მხოლოდ დატოვებულ იქმნას ჩემს ბანაკში!
მეფე ერეკლე, როგორც ჩანს, ქედს არ მიხრის!
უკვე რაზმებიც შემომაგება! რას ნიშნავს ეს?
მის ძლიერებას, თუ სისუსტეს? რას გაჩუმებულხარ?

(შემოჰყავთ ვახტანგ ორბელიანი ხელებშეკრული).

ვინ გაბედა და ქართველ ვაჟკაცს ხელები შეუკრა?
ყმაწვილო, ვინც შენ დაგამცირა,
მისი თავი შენს ფერხთან გაგორდება!
გაუხსენით!
ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — ნუ სწუხდებით!
„გარდამხდა გარდასავალი, სხვა უარესსაც მოველი!“
ა ღ ა — შენი ვინაობა?
ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — ორბელიანი!
ა ღ ა — ჰო, ორბელიანი! დიდი გვარის ყოფილხარ!
ალბათ, ნადირ-შაჰთან მამაშენი იქნებოდა!

სულძაღლი ნადირ-შაჰი მას ისეთი პატივით
ვერ მოეპყრა, როგორც მას ეკადრებოდა!
ჩემს ხელთ არის ადამიანის განდიდება,
შექმნა საამო ცხოვრებისა,
ჩუქება ოქრო-ვერცხლისა,
ბოძება სარდლობისა
და თვით მეფის გვირგვინისა!
შენ რას ისურვებდი, ყმაწვილო კაცო?
ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — ჩემი მტრის დამხობას!
ა ღ ა — რაო? მთხოვე, ყმაწვილო, რას ინატრებდი?

(არ პასუხობს).

ორბელიანო, მე შენთვის ბედნიერება მსურს!
მთხოვე, აგისრულებ!

(არ პასუხობს).

თუ ნამდვილად გიყვარს შენი ხალხი
და გინდა, შენი ქვეყანა უმსხვერპლოდ გადარჩეს,
უნდა მაცნობო: რამდენი ჯარი ჰყავს ერეკლეს,
სად არის დაბანაკებული
და ვისი აქვს დახმარების იმედი?
ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — საქართველოში მშვენიერი ამინდი იღგა.
შემოდგომის მზიან დღეებს არც ზენაქარი აფუჭებდა
და არც ქვენაქარი! ავდარს ველოდებოდით და ვიცოდით
კიდეც
ტაროსი შეიცვლებოდა, მაგრამ ჩვენ ამით
გული არ გაგვტეხია!
ა ღ ა — (თავისთვის). ალაჰ! მოთმინებიდან გამომიყვანს...
ორბელიანო! მე შენ დიდებას და პატივს გპირდები.
ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — მე შენგან მხოლოდ სიკვდილს მოველი!
და რაც ჩქარა ასრულდება, მით უკეთესი!
ა ღ ა — მე ადვილად ვასრულებ ნატვრას,
მაგრამ არა ჩემს საწინააღმდეგოდ!
იფიქრე და მომახსენებენ.
საფარ! გარიჟრაჟამდე ესაუბროს ჩემს ერთგულ ჯალათს.
ს ა ფ ა რ — ახლავე, ირანის მზეო!

(გადიან).

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — იგი ჯალათი არ იქნება შენზე უძღები

და საზიზღარი!
ეჰ, დათვლილია ჩემი წუთები!
შემინდე, მეფევ, დავალება ვერ შეგისრულე!
საძაგლად შევრცხვი და სამშობლოს ვერა ვარგე-რა!
შენც, ჩემო თეკლევ, სასურველო! ნეტა ვინ გამცნოს,
რომ გამცემლებმა ტყვედ ჩამაგდეს მუხანათურად
და, ჩემს სალოცავს, იმედები ვერ გაგიმართლე!

(შემოდის ჯალათი).

მოდის ჯალათი! აჰა, მე მზად ვარ!
ვინ ხარ? რა გინდა?

ჯ ა ლ ა თ ი — მე ვარ მსახური ირანის მზისა!
მან ინება: არ მოგაწყინო,
გაგართო და იმედი მოგცე...
საქმეს შევუდგეთ პირდაპირ და მოურიდებლად.
ის შენც იცი:
სიკვდილი შეიძლება ხმლით,
შეიძლება თოკით, შანთით...
შენ რომელს ირჩევდი, ყმაწვილო კაცო?

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — ჯალათო, შენ უფრო პატიოსანი ჩანხარ,
ვიდრე შენი ბატონი!
შენ არ მალავ შენ ხელობას, ის კი ნიღაბს იფარებს
და ცდილობს სათნო ქმნილებად მოგვეჩვენოს.
ის ქვეყნის ჯალათია, შენ კი მისი ბრმა იარაღი!

ჯ ა ლ ა თ ი — სხვის განსჯას თავი ანებე. ახლა შენ რას ფიქრობ?
მე უნდა ვიცოდე ყოველივე.

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — მე ვფიქრობ: თუ აღა-მამედ-ხანს შენს მეტი
იარაღი არ მოეპოვება თავის ძლიერების განსამტკიცებლად,
ანდა ჩემი საიდუმლოს ამოსახსნელად,
შენც და ისიც ამაოდ გარჯილხართ, ჩემი სული დაიმორჩილოთ.

ჯ ა ლ ა თ ი — მე მაინც რჩევას გაძლევ და განგიმარტავ:
როდესაც თოკით ვკიდებ, ვერ ვიტყვი, საქმე
სწრაფად თავდებოდეს!
შანთებით სიკვდილი დიდხანს გრძელდება და ჩემთვისაც
მოსაბეზრებელია!
მე ვამჯობინებ ხმლით თავის მოკვეთას.
ყველაფერი ხდება უცბად და სუფთა ხელობაც არის.

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — ოდესმე ხმალი დაგიცდება

და შენი თავიც მიწაზე გაგორდება.

ჯ ა ლ ა თ ი — არა! შეჯახებათა ორომტრიალში გამოცდილი ვარ,
ყმაწვილო კაცო...
მაინც ახლა შენ რას ფიქრობ? ან რას ინატრებ?

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — შენს სიკვდილს და ჩემს გადარჩენას.

ჯ ა ლ ა თ ი — არა, ყმაწვილო, უკუღმა გიფიქრია!

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — შეიძლება წაღმა ასრულდეს შენი ბატონის
მეოხებით.

ჯ ა ლ ა თ ი — ეგ როგორ?

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — აი, შენ უფრო გშინებია სიკვდილისა!
მართალი საქმე კი უშიშარის გზით მიიმართება...

ჯ ა ლ ა თ ი — მე შენი არა მესმის რა! პირდაპირ მითხარ,
თუ არც ერთს არ ირჩევ, ყველაზე უკეთესია,
დათანხმდე ჩემს ბატონს და მეც ჯაფა შემიმსუბუქო.

(უცბად ჯალათს ჰკლავს ალი-სადუხ-ბეგი).

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — ვინ ხარ?

ს ა დ უ ხ. — ჩუმად!

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — ალი-სადუხ-ბეგ! საიდან? როგორ?

ს ა დ უ ხ. — მე აქ სანდო შევიქენ, რომ უფრო ერთგულად მემსახურნა ერეკლესათვის. ახლა აჩქარდი. ცხენები მზად არიან!
აბა, წავიდეთ, სანამ საფარ მობრუნდებოდეს.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — გმადლობთ, ძმაო, მიგულე მარად შენს მოვალედ!

ს ა დ უ ხ. — ალაჰი გვფარავდეს და კეთილად გზა წაგვიმართოს.

(გადიან).

ს ა ფ ა რ — (შემორბის). აქ რაღაც მოხდა... ეს ვინ არის?
აა! ალაჰ! ჩქარა მდევარი! ჩქარა მდევარი!
ჰეი, მდევარი!

(შიშის ზარი, ყვირილი, შემოდიან სხვადასხვა მხრიდან და ჩოჩქოლი შეიქმნება, გვამი გააქვთ).

ა ღ ა — რა ამბავია ჩემს კარავში? რა ხმაურია?
საფარ!

ს ა ფ ა რ — მბრძანებელო, მაპატიე! მდევარი დავადევნე...
გზები შეკრულია...

ა ღ ა — რა ამბავია?

ს ა ფ ა რ — მოუკლავთ! ტყვე გაქცეულა.
უნახავთ, ორნი გაქცეულან... უნახავთ ალი-სადუხ-ბეგი.

ა ღ ა — შენ რატომ ვერ ნახე და ყურთასმენა არ გაიმახვილე!
საფარ, წადი ყარაგიულთან და უთხარ ამის ჯილდოდ
ყურები დაგაჭრას! გამეცალე!
ტყვეები ხელთ ვერ ჩაიგდეს. ცოცხლები არ გვნებდებიან.
ის ერთიც გაექცათ. გვაიძულებენ, რომ გავჟლიტოთ.
მით უარესი გურჯისტანისთვის.

დ ა რ ა ჯ ი — მეფეთ მეფეო! შენი მორჩილი ძმა ჯაფარ-ყულიხანი თეირანიდან.

ა ღ ა — ჩემი ძმა ჯაფარ? ჰო, ამბებს მომიტანდა. შემოვიდეს.

ჯ ა ფ ა რ — ბრძენო უძლეველო, მახვილო ალაჰისავ,
მზეო ჩაუქრობელო, ირანის დიდებაო!
ვეამბორები შენ ფერხთა მტვერს!

ა ღ ა — ჩემს სიცოცხლეზე მეტად საყვარელო ძმაო.
შენმა მოსვლამ დარდი გადამყარა. ერეკლეს ქეშიკი
გაექცათ ამ ძაღლებს... რა ამბავია თეირანში?

ჯ ა ფ ა რ — თქვენს იქ არ ყოფნას ძალიან სწუხს თეირანი.

ა ღ ა — მეც გულით ვწუხვარ, რომ შორი გზა გამოგატარე!
მიიღე ჩემი წერილი?

ჯ ა ფ ა რ — არა, მბრძანებელო!

ა ღ ა — მაშ მართალია, იბრაჰიმ-ხანს ხელთ ჩავარდნია.

ჯ ა ფ ა რ — დიდებულო მბრძანებელო, მე მეგონა, უკვე თბილისში
გნახავდით.

ა ღ ა — ხვალ ჩემთან ერთად იხილავ თბილისს. იბრაჰიმ-ხანის რა
შეიტყე?

ჯ ა ფ ა რ — ვერ მოსტეხეს, ხელთ ვერ ჩაიგდეს, თუმცა შენთვის
თავს არ ზოგავს სარდალი და მისი ჯარი.

ა ღ ა — მაგას მე თბილისში გამოვასწორებ.
გამოვასწორებ იმ ამბავსაც, რომ იბრაჰიმ-ხანმა ჩემი შიკრიკები შეიპყრო და შენთან მონაწერი წერილები წაართვა!

ჯ ა ფ ა რ — დიდო მბრძანებელო! ავღანელები კვლავ შფოთავენ და
შენს ერთგულ თურქმენებში მითქმა-მოთქმაა...

ა ღ ა — რაო, რა სურთ?

ჯ ა ფ ა რ — ზავი, მბრძანებელო! გურჯისტანში რა გვესაქმება,
როცა აქ, ცხვირწინ თავს არ უხრიან ირანის ტახტს ქვეშევრდომნიო.

ა ღ ა — ზავი?! ზავი! ერეკლესთან ზავი განა მე არ მსურს? განა მე
არ ვიყავ, მორიგებას ვეძებდი მასთან? წლობით ველი მისგან ახსნა-განმარტებას და არ იქნა. ზავი! ზავი! თქვენ გინდათ ერეკლესთან დავდო ზავი? არ ხერხდება! რა მისცეს

რუსებმა ერეკლეს? განა მე უფრო მეტს არ ვპირდები? არა, მან ამჯობინა, რომ ჩემი მტრები და ორგულნი შეეკრიბა თავის გარშემო. იბრაჰიმ-ხანი, გაძევებული თავის ქვეყნიდან, როგორც ორგული და მოღალატე! ერევნის და ნახჩევანის ხანი — ქურდი და გაიძვერა, შუღლის ოსტატი. არც ერთი არ ვარგა არც მოყვრისათვის და არც მტრისათვის. და ამ სამარცხვინო ბრბოს მეთაურობს ჭაღარა მეფე. ო, დიდო ალაჰ! შენს რჩეულს აშინებენ რუსთან კავშირით! მერე სად იყვნენ ეს რუსები, როდესაც ჩემი მახვილის ერთი მოქნევით გავფანტე ერეკლეს ლაშქარი ერევანს, განჯას და ყარაბაღში? ან იქნებ ფიქრობს, რომ ახალციხის ფაშა მოუთმენს რუსის ლაშქრის ჩამოყვანას საქართველოში? ან და შამშადილ-ხანი, ლეკთა ბატონი, მოუცდის, როდის ინებებს, რომ გურჯისტანმა მას ზურგში ჩასცეს რუსების ხიშტი.

ჯ ა ფ ა რ — დიდო მბრძანებელო! გამიგონია, ერეკლე ჯარებს გურჯისტანში ჰკრეფს ყოველ კუთხიდან და ამ მიზნისთვის მისი შვილები...

ა ღ ა—მისი შვილები? სულელურ ანდერძის გამო ისინი ლოცულობენ, რათა მალე ამოძვრეს სული! მათი ჯარების რიცხვი მე კარგად ვიცი! კახეთიდან ლეკების შიშით ჯარს ვერ აჰყრის! იმერეთიდან განა რამდენს მოაშველებენ, როცა ოსმალო კრიჭაში უდგა? ხუთი ათასს! ხა! ხა! ხა! სამაგიეროდ მე მყავს ათჯერ მეტი! მოკავშირენი? რა თავში ვიხლი მის მოკავშირეს, როდესაც ჩემი მოკავშირე ჩემი ხმალი და ჩემი ჯარია. მაგრამ განჯელები თუ კვლავ ამიჯანყა, ალაჰს ვფიცავ, აღვგავო სამუსულმანო საზღვრებიდან და გურჯისტანი გადავაგდო დარიალის იქით, სულძაღლმა ნადირ-შაჰმა თავის სიბეცით ვერ გაითვალისწინა და ირანის გულზე შხამიანი გველი აღზარდა!

ჯაფარ! აღვგვი, მოვსპობ გურჯისტანს!

ჯ ა ფ ა რ — იდიდოს სახელი ალაჰისა!

თბილისის მოედანი.

დ ა რ ჩ ო — ის მოდის ჩვენზე და თავს ის გვესხმის,
თუ არ დავუხვდით,
მაშინ დაიდგი კურტანი და ზურგზე შეისვი.

ს ქ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე — მაშ ეგრე? აქ უნდა მოვკვდე,
ჩემი ქონება და ცოლშვილი სხვას ოხრად დარჩეს?

ა ღ ა ლ ო — ეე, ცხვრის თავო!

ორმოცი წელი ისე იმეფა,
ჩვენი ერეკლე არასოდეს დამარცხებულა,
ახლა დამარცხდეს?

მ ო ქ ა ლ ა ქ ე — აღალო მართალია!
— ის ყიზილბაში ბედისწერას აუტანია!
— შენ ნახე ერთი, რა დღეს დავაყრით!

ა ღ ა ლ ო — დარჩო!
იმათ რომ აქლემებს დავაყრევინებთ,
ერთს აქლემზე პირუკუღმა ყაენივით შეგსვამ
და მოედანზე აგასეირნებ-ჩაგასეირნებ!

ს ქ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე — რათა, შე ბემურაზო?

ა ღ ა ლ ო — ვაჭრობ — წუწუნებ!
პურს სჭამ — წუწუნებ, ბევრი მიმდისო;
ახლა ომია, შემძვრალხარ შენ თაგვის სოროში,
მაინც წუწუნებ...

მ ო ქ ა ლ ა ქ ე—მოდი, დარჩოს ღიპზე ხანჯალი დავკიდოთ! ჯარში ჩავწეროთ!

ა ღ ა ლ ო — მაშ აქ გავუშვებ, რომ იპარპაშოს ლამაზ ქვრივებში?
ხმალს შემოგარტყამ გაბერილ ღიპზე
და წინ გაგიშვებ, რომ ყიზილბაშმა ჯერ შენ გატაკოს.

ს ქ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე — ხანჯალი რად ვინდა?
ერთი ის ხოჯა გამომიყვათ...
ერთი რომ დავცხო, აი, ესე...
უჰ, მეთქი!

(ერთზე მიიწევს, ამ დროს შემოდის ფანოზაშვილი, მიესალმებიან)

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — რა ამბავი გაქვთ? რას მასლაათობთ?
აბა, ერთი მეც მათქმევინეთ!

ა ღ ა ლ ო — ფანოზაშვილო, მდიდრებმა ხომ დასტოვეთ თბილისი?
უკან რიღასთვის მობრძანებულხარ?
მითომ კეთილი განზრახვა გქონდეს?

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — შენ რას ლაპარაკობ?
შენს ყადრსა და ტოლს ელაპარაკე აგრე თავაგდებით!
ხელოსანს რა გაქვს დასაკარგავი...
ჩვენ ვიკითხოთ, რომ სიმწარით და ოფლით მონაგარი ჯარს
უნდა ვაჭამოთ.
გინდ აღა-მაჰმად-ხანს გაუოხრებია,
გინდ ერეკლეს ლაშქარს.
განა ჩვენ სხვა დროს სიკეთეში ვიყავით?

საქონელი შემოგვაქვს — ბაჟი!
გაგაქვს — ბაჟი!
ათასნაირი გადასახადი,
საბატონოში თუ მიიტან, ბატონსაც ბაჟი!
ეს ცხოვრებაა, რომ ამისათვის თავი გავწირო?

ა ღ ა ლ ო — შენ თუ ბაჟს იხდი, შენ რას ზარალობ?
შენ ჩვენგან იღებ აინ-ოინით?
ხალხო, ხომ გახსოვთ? სოლომონმა ამქრებს რა გვითხრა?
„ბაჟის საქმეს მოვაგვარებო“.
რაკი სთქვა, კიდეც შეასრულებს, ეს რას მიჰქარავს!

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — შენ მიჰქარავ, შე ლაწირაკო!
სოლომონია ჩვენ რომ ძირს გვითხრის!
მეფეს ჯარი შეაყრევინა
და შენახვა ჩვენ დაგვაკისრა...
ესღა გვინდოდა? აკარაკო, აბა დაფიქრდი?

ა ღ ა ლ ო — მაშ კოჭლი ბაღჩო შეინახავს, ჯაჯღანა მელქო?
შეძლება შენ გაქვს და ის ჯარი შენს დოვლათს იცავს.
შენ უნდა შეინახო, შენ და შენისთანამ...

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — ეე, გონს მოდი!
შენ რომ თავს იდებ, ერთი ჰკითხე მეფის ახლობლებს!
ჩვენ შორის დარჩეს,
ბატონიშვილებს შემოუთვლიათ:
ჩვენ უნდა ჩვენი საუფლისწულო დავიცვათ
და ვერ მოვალთო. შეუშვი თავში! იცი, ეს რას ნიშნავს?

ა ღ ა ლ ო — შენ ეგ ვინ გითხრა? (ყელში ჩაავლებს).
ან მითხარ ახლავ, ეგ ამბავი ვინ მოგიტანა,
ან და გაგაჭრობ...

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — ხელი გამიშვი!

ა ღ ა ლ ო — მითხარ-მეთქი!

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — გამიშვი ხელი!

ა ღ ა ლ ო — ჭორებს ავრცელებ, ჭორებს...

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — გამიშვი!

ა ღ ა ლ ო — ხალხს გულს უტეხავ, შე ჭორის გუდავ...

ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — მიშველეთ! რევაზ! რევაზ!

(ფანოზაშვილს ჩაქოლვას უპირებენ, ამ დროს შემოიჭრებიან:
რევაზ ციციშვილი და იესე უზბაში მხლებლებით).

რ ე ვ ა ზ ი — გაჩერდით! როგორ ბედავთ ჩხუბს და აყალმაყალს?
გიბრძანებთ მეფის მძახალი.

მესამე მოქმედება

სასახლე. თათბირი.

ერეკლე — შვილო დავით, რომელი საათია?
დავითი — ათი, ბატონო!
ერეკლე — სოლომონი კიდევ არ სჩანს?
დავითი — არა, ბატონო!
ერეკლე — არც არავის უნახავს იგი?
დავითი — არა, ბატონო! მაგრამ მოიცათ, აგერ სოლომონი!

(შემოდის სოლომონი).

ერეკლე — სოლომონ?
სოლომონი — მეფეო, მომიტევე!
ერეკლე — რად დაჰგვიანდი?
სოლომონი — ანაზდად უცნაურ ამბის მოწმე გახლდით და, მაპატიეთ, ერთი კაცი დავაპატიმრე.
ერეკლე — დააპატიმრე? ვინ? რომელი?
სოლომონი — უკეთესს თვით სინათლე ვერ ინატრებდა, მზაკვრის და ბნელის დასათრგუნად, განსაბნეველად.
ერეკლე — დიდად მაშფოთებს შენი კილო ორაზროვანი, მაგრამ,
ვინც უნდა იყოს იგი,
პირობას გაძლევ,
მართლმსაჯულების განჩინების ხელმოსაწერად,
ამ ბებერ თითებს, ვით ჭაბუკი, დავიმორჩილებ!
შემოიყვანონ!
სოლომონი — დარაჯნო! პატიმარი გამოატარეთ.

(შემოყავთ რევაზ ციციშვილი).

ყველანი — რევაზ?!!
ერეკლე — ჩემი მემკვიდრის ცოლისძმა — რევაზ?
რევაზი — ვიყო მე შენი ფერხთა მტვერი, ერეკლე მეფევ!
შენი მდაბიო ხელქვეითნი აღვირახსნილან,
მაღალგვაროვანს აყენებენ შეურაცხყოფას,
გზად უხვდებიან და იარაღს წელიდან ხსნიან.
ერეკლე —ასე უდროოდ სად ბრძანდებოდი?
რევაზი — ჩემი ზრუნვაა, დღეგრძელობა ჩემი მეფისა!
ერეკლე — მე გეკითხები, სად ბრძანდებოდი?
რევაზი — ვიყავ საქმეზე, ნათესავებში.

ერეკლე — უპირველესი ნათესავი დღეს მე ვარ შენი და ამის უარყოფისთვის აკი კიდევაც აგეკრძალა ჩვენს მიწა-წყალზე სიარული.
რევაზი — თქვენს მზეს ვფიცავ, პირველად მესმის!
ერეკლე — ქართლში ჩამოგერთვა მოურაობა.
რევაზი — მაგას მიზამდა მოშურნე მტერი.
ერეკლე — მოშურნეობით არა მთხოვდა ჩემი ძვირფასი რძალი შენთვის სასჯელის შემსუბუქებას.
რევაზი — მაშ ჩემმა დაიკომ იკისრა ეგ ვექილობა.
ერეკლე — დიახ! შენმა დამ, ჩემმა რძალმა, პატიოსნებით სახელ-ქებულმა, თვითონ მარიამ დედოფალმა.
რევაზი — რაღა ვთქვა, მეფევ, ახლა რით ვიმართლო თავი, როდესაც ჩემი სისხლით სწორი მტრად გამხდომია?
ერეკლე — კითხვაზე მაინც არ მიპასუხე!
სოლომონი — ბოდიში მეფევ, იქნებ ის მაინც გაიმეოროს, რას ამბობდა მარკოზას ბაღში, რადგან თავის დის ორგულობამ ენა წაართვა და ეს წერილიც გადაიკითხეთ. (მიართვა წერილი).
ერეკლე — მარკოზას ბაღში?
რევაზი — დიახ, გახლდით
და თუ ვსთქვი რამე, მე ყველგან ვამბობ...
რადგან ხალხის სიკეთეს ვამბობ.
ერეკლე — ჩვენც გაგვაცანი ეგ სიკეთე!
რევაზი — რაცხან მოექეცა შენ რუსეთის საფარველქვეშე,
მას შემდეგ არის, მტრად გაგიხდნენ ქვეყნად ძლიერნი:
ოსმალნი, სპარსნი და დაღესტანი,
ამიტომ არის,
რომ ჩვენზე მოდის განრისხებული ყაჯარი მამედ!
ჩვენ მასთან ბრძოლა არ შეგვიძლიან!
ამიტომ ვამბობ: დაუთმე ყაჯარს
და აგვარიდე შფოთს და სისხლის ღვრას!
შენ ეს დათმობა მსხვერპლს არ მოგიტანს,
უნდა გასწყვიტო რუსთან კავშირი!
აი, მე ეს ვსთქვი, შენც მოგახსენებ.
ერეკლე — სულ ეგ იყო. სხვა არაფერი?
რევაზი — სხვა არაფერი!
ერეკლე — მაშ შენ ქვეყნისთვის უფრო მეტად გული შეგტკივა. სოლომონ! ამ კაცს რას ვერჩით,
როს იგი ზრუნავს უკეთესად ჩვენი ქვეყნისთვის

და უებარი წამალიც კი გამოუნახავს:
აი, რას სწერს არღუთიანს: (წერილს კითხულობს)
„ბებერ ირაკლის მამედ-ხანი კისერს მოუგრეხს,
უნდა ვეცადოთ, მოუგრიხოს, ეყო მეფობა!
ყაჯართან უკვე პირობა მაქვს,
შენ მელიქობა, მე ვექილობა მთელი ქართლისა!
რევაზ ციციშვილი“.
პირადად შენთვის ვექილობა, უარს ვერ იტყვი,
ასე სწერია შენს წერილში, არღუთიანს კი
მელიქობა! ესეც გავიგე, ნათელი არის!
მაგრამ მეფედ ვისღა ირჩევდი?
იქნებ ისურვო და ესეც დაგვისახელო.

რ ე ვ ა ზ ი — თქვენთვის სჯობია არ მათქმევინოთ!
რაც არის, არის!

ე რ ე კ ლ ე — ვისთან გქონდა კიდევ კავშირი? სათითაოდ დაგვისახელე.

რ ე ვ ა ზ ი — მორჩით, მეფევ! ბავშვი არა ვარ, რომ ჩემი ცოდოდანაშაული ვაჟკაცმა მარტო ვერა ვზიდო.

ე რ ე კ ლ ე — უსირცხვილოვ, რატომ ეგ ენა სასაზე არ მიგახმება, როცა შენ ვაჟკაცობაზე ლაპარაკობ? მრავალ ომში თმა გამითეთრდა, სიკვდილს პირისპირ შევბმივარ და შევჭიდებივარ, მაგრამ ვერ მითქვამს, არასოდეს შემცვლოდეს ფერი, და შენ, ქურდსა, წუწკსა და სალახანას რა ხელი გაქვს ვაჟკაცობასთან?

რ ე ვ ა ზ ი — შემიბრალე, ნუ მომკლავ, მეფევ, ყველაფერს გეტყვი ოღონდ მარტო თქვენ მოგახსენებთ.

ე რ ე კ ლ ე — უტიფარო! როგორ მიბედავ?
რომ ვყოფილიყავ ღვთისმსახურიც, უბრალო მწირი, მაშინაც კი არ ვისურვებდი მოწმის გარეშე აღსარების შენგან მოსმენას! ამათი თანდასწრებით იტყვი ყველაფერს!

რ ე ვ ა ზ ი — მომკალ, მეფევ, არ შემიძლიან!

ე რ ე კ ლ ე — მხდალო, ვერაგო!
მე თუ მომკლავენ ხვალე ბრძოლაში,
ესენი მაინც გათქმევინებენ, ვინ გყავდა კიდევ
მუხანათი, მფარველი შემწე!
მოვახერხებ, ეს იცოდე, ერეკლე მეფემ საფლავიდანაც
სიმართლის ცელით მოგჭრას თავი.
გაათრიეთ! ჩასვით დილეგში!

(გაჰყავთ რევაზ ციციშვილი).

სოლომონ! ნუთუ მღალატობს ჩემი შვილი?
შვილებთან მიველ მოწყალებისთვის,
ვუმტვრევდი კარებს, ვითხოვდი შველას,
მაგრამ ამაოდ! ყრუ იქმნენ ჩემთვის!
მე ასე დავრჩი შემოძარცული!
მითხარ სოლომონ!
რა დავაშავე, რომ დღეს ვიმკი მე მწარედ ნაყოფს?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ყველას ჰსურს შენი დასუსტება: მტერს და მოყვარეს!

ე რ ე კ ლ ე — ჩვენი ხალხი დავაბინავე!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ერთს ჰსურს წაშალოს თვით ხსენება შენი ქვეყნისა.

ე რ ე კ ლ ე — მტაცებელთაგან უზრუნველ ვყავ და უშიშარი!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მეორეს უნდა შენ დასუსტდე და ხელთ ჩაგიგდოს.

ე რ ე კ ლ ე — როცა ჩემს ზრუნვას და სიკეთეს უნდა აღევსო
თვით უმადურის დამშეული თვალის სიხარბე!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მესამეს შენი საქართველო ევიწროება,
რომ მისი ოქრო თავისუფლად აქ ვერ ტრიალებს,
ხოლო დანარჩენთ და, მათ შორის უმრავლესობას,
დღეს ამოქმედებს თვითონ შენი ანდერძის წიგნი.

ე რ ე კ ლ ე — რომ შვილებს მივეც მორიგეობით მეფობა
და მთელი სიმდიდრე!
მეგონა კავშირს მტკიცეს შევკრავდი
და ეს ერთობა და ეს უფლება
ჩვენ მოგვიტანდა ბედნიერებას
და ძლიერებას მტრის წინააღმდეგ.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მაგრამ, ვაი, რომ კაცი ერთს ფიქრობს,
ხოლო ცხოვრება სხვაგვარ წარმართავს.

ე რ ე კ ლ ე — დაე ამხედრდეს ცაც, ხმელეთიც ჩემს წინააღმდეგ!
ვიცი და მრწამს, მე მართალი ვარ,
ჩემს გზას არ დავთმობ!
და თუ აწ ბედი სიბერის დროს ამ შრომის ჯილდოდ
სირცხვილის გვირგვინს წარმომადგამს დათოვლილ თავზე,
მაშინ მეღორედ ყოფნა უფრო მე მირჩევნია,
ვიდრე ღვთის ნებით ვიყო ცამდე ზე აღწეული.
უხმე სარდლებს!

(შემოდიან: ზურაბ წერეთელი, იოანე და დავით ბატონიშვილები, ოთარ ამილახვარი, ხუდია ბორჩალოელი).

ბოდიშს მოვიხდი, ბატონებო, დაგაცდევინეთ.

ზ ურ ა ბ ი — რას ბრძანებთ, ბატონო, როგორ გეკადრებათ.

ე რ ე კ ლ ე — დროს ნუ დავკარგავთ, დაბრძანდით.
ზურაბ, აქეთ, ჩემს გვერდით.

ზ ურ ა ბ ი — გმადლობთ, ბატონო.

ე რ ე კ ლ ე — ხუდია, მოდი ახლოს! რატომ გამდგარხარ?

ხ უ დ ი ა — მიბრძანე, მეფევ მწყალობელო.

ე რ ე კ ლ ე — აბა დავიწყოთ. როგორის რიგით დავხვდეთ ხოჯა ხანს?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ყველა ცნობებით დასტურდება, ორმოცი ათასი კაცით მოდის ჩვენს წინააღმდეგ!

ხ უ დ ი ა — თურქმენთა რაზმია საფრთხილო, თორემ დანარჩენი არაფერია.

ე რ ე კ ლ ე — ჰოდა, გვიბრძანეთ, როგორის რიგით უნდა დავუხვდეთ.

ზ ურ ა ბ ი — ნუ მიწყენთ, ბატონო, თუ შეგკადროთ! აქ მყოფთანაც ბოდიშს ვიხდი! ბრძოლის საქმე თქვენზე უკეთ ვინ განარიგოს?

ე რ ე კ ლ ე — შვილო ზურაბ! ომში გაძღოლა ათასებისა, რომელნიც სიკვდილს შებმიან და შესჭიდებიან, ერთის კაცის ღონეს აუცილებლად აღემატება.

ზ ურ ა ბ ი — თქვენი სიბრძნე და თადარიგი ნუ მოგვეშალოს, ჩვენი სიცოცხლე შენ გენაცვალოს.

ე რ ე კ ლ ე — ოთარ, შენ ბრძანე!

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — მე მოგახსენებთ და მომიტევეთ!
ვიტყვი და მერე, როგორც სჯობდეს, ისე ინებეთ!
ვადროვოთ, სანამ სოღანლუღში შემოვა მტერი.
მოწინავედ ჰყავთ სადუკ-ხანი, სულ ცხენოსანი!
ყველანი სხედან ულაყ ცხენებზე.
ჩვენ რომ შეუშვათ იმათ ჯარში
ჯოგი ფაშატის ცხენებისა,
მე დამერწმუნეთ,
იქ ყველაფერი თავდაყირა დატრიალდება,
თვითონ ცხენთაგან შეიქნება იმათი სრესა,
ხოლო ჩვენ ამ დროს უნდა დავკრათ, აღარ ვადროვოთ!

ე რ ე კ ლ ე — კარგი აზრია, მარტო სადუკ-ხანი თუ იქნება მოწინავედ!
შენ რას იტყვი, იოანე?

ი ო ა ნ ე — მას ბრძოლა მივცეთ ალგეთის მარცხნით,
სადაც ბირთვისის ციხეა მკვიდრი, მიუვალი, აუღებელი.
თქვენ აქ გამაგრდით, მე წინ გავუტევ, მოულოდნელი თავდასხმებით
იმის ჯარს მოვღლი, თან მოვაჩვენებ,
ვითომ დავმარცხდი და უკან ვიხევ
და ბირთვისამდე როცა მივაღწევ,
მერე თქვენ დაჰკრავთ.

ზ ურ ა ბ ი — იოანეს აზრი მოსაწონია
და შეიძლება განხორციელდეს მოხერხებულად.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — არც მე ვარ წინააღმდეგი, მაგრამ მტერი რიცხვით გვჭარბობს და მარტო მოწინავეთა თარეშით მას ვერ მოვღლით.

ლ ა ვ ი თ ი — მართალს ბრძანებთ. ჯარი მცირე გვყავს.
ერთი ამდენიც რომ გვყოლოდა,
მოგეცათ ლხენა, მარტო ზარბაზნით მოვღლიდით
ისე, რომ მერე ოდნავი შეტევაც გაფანტავდა!

ე რ ე კ ლ ე — მაშ, აბა ახლა მეც მომისმინეთ!
მოხუცის ჭკუით ასე ვსჯი და იმასვე ვამბობ,
რომ ღრმად ნაფიქრალ ომის გეგმიდან
ბრძოლის ველზე ნატამალიც კი არ დარჩენილა.
საქმე ის არის, უპასუხო მტრის მოქმედებას,
რომელსაც შენ არ ელოდები
და არც შეგეძლო წინასწარ იგი განგეხილა, წარმოგედგინა...
რიცხვით მეტობა?
ჩემო ხუდია, რამდენი ვიქნებოდით ასპინძასთან,
ოსმალთა და ლეკთა წინააღმდეგ?

ხ უ დ ი ა — ექვსჯერ ნაკლები, დიდო ბატონო!

ე რ ე კ ლ ე — აზატ ხანთან?

ხ უ დ ი ა — თითოზე ათი მოდიოდა, შენი ჭირიმე.

ე რ ე კ ლ ე — ყვარლის ბრძოლაში? ჭარ-ბელაქანში?
თვით ნადირ-შაჰთან ყანდაარსა და ინდოეთში?
რიცხვით მეტობას იქ სასწორი არ დაუხრია!
ვიცით, მტერს დიდი ლაშქარი ჰყავს,
ჩვენ ეს ლაშქარი უნდა თბილისის ვიწროებში შემოვიტყუოთ,
რომ ვერ გაშალოს, ყველა ერთად ვერ ამოქმედოს.
ხოლო ასეთი ვიწროები კრწანისთან არის.
ჩვენ მას მოვიყვანთ სოღანლუღთან, იქ ჩამოვახდენთ.
ჯერ მცირე ჯარით შევებმები,
რომ გათამამდეს და იერიშზე გადმოვიდეს.
მე უკვე მაშინ ტაბახმელის მაღლობებიდან

თვრამეტ ზარბაზნით განუწყვეტელ ბრძოლას ავუტეხ.
ბრძოლის წესიც დღეს ასე რიგად წარმომიდგება:
თუ ირანელნი სანგრებიდან კვლავ ამოვიდნენ,
მათთან შებმა ხევებში მოხდეს, ცხენიანიც დააქვეითეთ,
ომი ზარბაზნებს დააცალეთ.
ირანელნი აქეთ-იქიდან მოგეტანებიან,
მაგრამ თქვენ ამ დროს ზარბაზნის სროლის მეტს
არასა იქმთ.
როცა ისინი ასეთ ბრძოლით დაიღლებიან,
მაშინ ერთბაშად მიაწექით და ღვთით გაიტანთ.

ზ უ რ ა ბ ი — დახვედრის წესი უკეთესი არ შეიძლება.

ე რ ე კ ლ ე — თქვენ რას იტყვით?

ყ ვ ე ლ ა ნ ი — უკეთესი არ შეიძლება.

(ქუდს იხდის, პირჯვარს იწერს).

ე რ ე კ ლ ე — მაშ, იოანე ბატონიშვილს სამეფო დროშა!

(თვითეული დასახელებული სარდალი მიდის მეფესთან. ეამბორება. ერეკლე თვალებში აცქერდება, თითქოს ამხნევებს. თითქოს ეთხოვება).

ზურაბ სარდალი ტაბახმელისკენ! ტაბახმელაზე არტილერიით — დავით ბატონიშვილი! ამილახვარი კრწანისის ველზე. ჩემთან დარჩება ჩემი ხუდია ბორჩალოელი... კოჯრის გზაზე დავით მაჩაბელი თავისი დასტით და, თუ მოგვისწრეს კახელებმაც...

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ჩინებულია, ჩინებული!

ე რ ე კ ლ ე — ხვალ აბოს ნიშთან! ღამე მშვიდობის.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ძილი ნებისა. (გადიან).

სურათი. იგივე სცენა.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მშვიდად სძინავს... უფალო, ჰფარვიდე მის
მყუდროებას.
რაც ბრძანა მეფემ,
მთავარი უნდა აღინუსხოს და ჩაიწეროს... (სწერს).
„ღრმად ნაფიქრალ ომის გეგმიდან ნატამალიც კი არ
დარჩენილა... საქმე ის არის... უპასუხო მტრის
მოქმედებას, რომელსაც შენ არ ელოდები...
ვიწროებში შემოვიტყუოთ... ხოლო ასეთი ვიწროები კრწანისთან არის... თუ ირანელნი სანგრებიდან კვლავ ამოვიდნენ“...

გ ე ლ ა — ბატონო სოლომონ!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ჩუმად! მეფეს სძინავს!

გ ე ლ ა — მაპატიე, ბატონო სოლომონ!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — რაო? ასე უდროოდ? განა რა მოხდა?

გ ე ლ ა — ჩვენმა მოსაზღვრე გუშაგებმა
ვიღაც ყმაწვილი კაცი შეიპყრეს.
მტრის ბანაკისკენ მიჰქროდა ცხენით!
ვუყივლეთ, მაგრამ არ ჩერდებოდა.
გზა შევუკარით...
დამორჩილება რომ არ ინება,
ძალა ვიხმარეთ, ორი დაგვიჭრა.
შემდეგ შევბოჭეთ, წამოვიყვანეთ.
არც ვინაობას გვეუბნება, არც სახეს აჩენს!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — შემოიყვანე! ვინ უნდა იყოს?
ვისი შიკრიკი?

(შემოჰყავთ ყაბალახშემოკრული და ნაბადში გახვეული).

ვინ ხარ? (ხმას არ სცემს)
რად სდუმხარ?
გირჩევ გამოტყდე...
მტერთან მიგქონდა საიდუმლო რამე ცნობა?
სთქვი, ვინ ხარ-მეთქი!
გელა, შემოხსენ ყაბალახი!

ო ე კ ლ ე — (ტირილით ძირს დაეცემა). ძია სოლომონ!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — თეკლე... ბატონიშვილო!

გ ე ლ ა — მეფის ასული! ვაი ჩვენს თავს...

თ ე კ ლ ე — მამას ნუ ეტყვით.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ადექ, ბატონიშვილო. (ააყენებს).
ჩემი თავი შენ შემოგევლოს...
(დარაჯს).
გელა, შენ წადი... არაფერი სთქვა...

გ ე ლ ა — მესმის, ბატონო!

(მხედარი გადის).

ს ო ლ ო მ ო ნ — იყუჩე, თეკლე!
გული მოიბრუნე... არაფერია... ნუ გეშინიან...
მითხარ, რა მოხდა? რამ გაიძულა?

თ ე კ ლ ე — გზიდან დედაჩემს გამოვეპარე...
ფარულად მოველ სასახლეში...
ვნახე საჭირო იარაღი და ტანსაცმელი...
და ისევ უცბად მტრის ბანაკისკენ...
შურისძიებით ამევსო გული.
ვახტანგის რაზმი იქ დაამარცხეს...

თვითონ ვახტანგი იქ ტყვედ შეიპყრეს.
ან იქნებ მოჰკლეს...
რომ ჩემთვის ხელი არ შეეშალათ...

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მადლობა უფალს, რომ შეგიშალეს...

თ ე კ ლ ე — შაჰის ბანაკში შევიჭრებოდი,
მოვკლავდი მტარვალს, შურს ვიძიებდი
და შემდეგ თუნდა მეც მოვეკალი...

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მერე მეფისთვის რა პასუხი უნდა გამეცა?
თეკლე ბატონიშვილო!
მაცხოვარს ვფიცავ,
შენთვის კეთილის მოსურნე ვარ!
რატომ არ მკითხე? რჩევას მოგცემდი!
ბატონიშვილო, აღარ მენდობი?

თ ე კ ლ ე — გენდობი, მაგრამ... რომ მეკითხა, ნებას დამრთავდი?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — დაგრთავდი, რატომ... მაგრამ მარტო შენ...
უნდა ვეცადოთ, მტერი შევმუსროთ,
მაგრამ ცალცალკე შებრძოლება უაზრობაა.
ჩვენ წინ მიგვიძღვის მამაშენი, მეფე ბატონი,
იმის ბრძანებას ყველა უნდა დაემორჩილოს!
ასე მარტო კი...
შენს თავს საფრთხეში ჩააგდებდი და ვერცა რამეს
მტერს დააკლებდი...
ხოლო მამაშენს მწუხარებას დაუმატებდი
და განა მეფეს დარდი აკლია?
ხომ იცი, შვილო, მოხუც მამას რარიგ უყვარხარ
და რომ შენ მტრისგან დაგმართოდა რამე ხიფათი,
რა უნდა მეთქვა, მე უბედურს, შენს ერთგულს ძიას!
მტერი მძვინვარე და ძლიერია.
იმასთან შებმა ვაჟკაცებსაც გაუჭირდებათ
და შენ ხომ, შვილო, ჯერ ბავშვი ხარ, მეფის ასული.

თ ე კ ლ ე — (ეწყინა). რატომ ვარ ბავშვი?
განა მე ვისზე რა ნაკლები ვარ?
ბავშვად რად მთვლიან,
როცა მე არცერთ ნაქებ ვაჟკაცს არ ჩამოვრჩები
არცა ჯირითში, არც სროლაში და არცა ხმალში!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — (უცბად შემოდის).
ბრძოლას აპირებ, ბატონიშვილო?

თ ე კ ლ ე — ვახტანგ!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ვახტანგ!

თ ე კ ლ ე — ეს როგორ მოხდა?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ასე უეცრად...

თ ე კ ლ ე — ეს ცხადი არის, თუ სიზმარია?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მოიცათ, მეფეს არ გაეღვიძოს!

თ ე კ ლ ე — დაჭრილი სჩანხარ! ხომ არ გაწუხებს?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — არაფერია, ბატონიშვილო!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მოდი აქ, შვილო, დაისვენე...

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მე არც მეგონა, გადავრჩებოდი.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ჰო! როგორ მოხდა? რა სასწაულით?
აბა, გვიამბე!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — პირველი დამჭრეს, აზრი წამერთვა.
როცა გონს მოველ, უკვე ტყვედ ვიყავ!
ვიღაცამ გვიმტრო! ვიღაცამ გაგვცა!
ჩემი რაზმიდან აღარც ერთი გადარჩენილა.
მე იმავ ღამეს მიმიყვანეს იმ ქოსა ხანთან,
მიცქერს, მეც ვუცქერ! სანახავად შესაზარია,
საშინელება! ძვლებადქცეული, ლოყებდამჭკნარი.
ბევრი ჯარი ჰყავს, ეს მართალია,
ათი ათასი ცხენოსანი დაახლოებით.
ქვეითი ჯარი უფრო მეტი!
ამ ჯარის უკან ჯარზე მეტი ბრბო მცარცველების,
მაწანწალების,
შემოკრებილნი ყოველ კუთხიდან!..
ზარბაზნები კი სულ არა სჩანდა!
დამპირდა მრავალ ბედნიერებას,
არ დაიშურა მეფის გვირგვინიც,
სთქვი, რა იციო.

თ ე კ ლ ე — მერე, შენც სთქვი?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მეც მოვუყევი დარზე, ავდარზე.
გაბრაზდა, მაგრამ როგორ გაბრაზდა!
თვალის კაკლები გადმოყარა
და ჭყეტით დარჩა.
რო ვერას გახდა, გამოგზავნა ჩემთან ჯალათი,
ჩემს მოსატეხად, შესაშინებლად.

თ ე კ ლ ე — მერე, მერე?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მაგრამ ამაოდ.
ამ დროს უეცრად
ვიღაცამ ჩასცა ხანჯალი ჯალათს.

შევხედე, ვიცან ჩემი მხსნელი...
გამომიტაცა...
მოვახტით ცხენებს, მოგვყვა მდევარი.
შეგვიკრეს გზები!
ვინც მე დამიხსნა, ცხენი მოუკლეს,
ძირს დაცემულმა შემომძახა: თავს უშველეო!
და აღარ ვიცი, რა ბედს ეწია!

თ ე კ ლ ე — ნეტა ვინ იყო ის მადლიანი?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ვინ იყო მხსნელი?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ალი-სადუხ-ბეგი!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მადლობა ვაჟკაცს!
მეფე მის ამაგს არ დაივიწყებს.
გათენებულა! ქამია უკვე!
წავალ, ერეკლეს შევატყობინებ. (გადის).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ბატონიშვილო,
თქვენ რა ვაჟურად გამოწყობილხართ?

თ ე კ ლ ე — შენ ეს არ იცი და ნურც გაიგებ.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — საიდუმლოა?

თ ე კ ლ ე — ჰო, საიდუმლო!
ტყვედ დამიჭირეს, ნება არ მომცეს!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ტყვედ დაგიჭირეს?
აქ სასახლეში მაშ როგორ მოხვდი?

თ ე კ ლ ე — საიდუმლოა!
ეს უნდა მარტო მე ერთს მცოდნოდა!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — და საიდუმლო შენი გაიგეს?

თ ე კ ლ ე — ვნანობ, ჩემს მიზანს ვერ მივაღწიე!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რა დაბრკოლება გადაგეღობა?
მითხარ და მზად ვარ, ბატონიშვილო!
რომ იყოს ცეცხლი, ყინვად მივიღებ,
უფსკრულის საფრთხეს — ვიწრო ბილიკად!
როცა მტერს ვებრძვი, ჩემს მარჯვენას შენ ამახვილებ
და როგორც დროშა, შენი სახე სულ წინ მიმიძღვის!
როცა ჩემს წუთებს სიცოცხლისას სთვლიდა ჯალათი,
გულში მცირედაც არ მიგრძვნია სიკვდილის შიში,
რადგან მე შენის სიყვარულით აღსავსე ვიყავ!
ბატონიშვილო!
რა უნდა იყოს ქვეყნიური ბედნიერება,
რა უნდა იყოს სიხარული და ან სიამე,

თუ მუდამ თვალწინ მე არ მიდგას ძვირფასი თეკლე,
შთამგონებელი მაღალ გრძნობის და ვაჟკაცობის!

თ ე კ ლ ე — ვიცი, შენ მართლა შეგძლებია საგმირო საქმე,
ვიცი, შეიძლებ უფრო მეტსაც მომავალშიაც...
მაგრამ მე რატომ არ მაცალეს?
შენ უკვე შესძელ, რაც მე მიზიდავს
და ჩემში გრძნობებს ვარდებად ფურცლავს.
და ვნანობ-მეთქი, რომ არ მაცალეს!
იქ შენთან ერთად მეც ვყოფილიყავ,
სადაც საფრთხეა და გაჭირვება!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მაშ ჩემთან ერთად შენც აპირებდი?
შენ აპირებდი! შენ? ნუთუ ჩემთან?

თ ე კ ლ ე—ჰო, შენთან, ვახტანგ! დაგიმტკიცებდი, რომ შემიძლიან...
მოიცა, აგერ ხმაური ისმის...
მამას ვერა, ვერ ვეჩვენები!
გახსოვს, მე გითხარ:
„ჩემს მიჯნურს უნდა ამშვენებდეს ჭრილობის დაღი“,
ჭრილობა უკვე შენ მიიღე, სახელოვანო!
თუ გსურს შენს ხმალსა ამშვენებდეს ჩემი მანდილიც,
დაიცავ ჩემი საიდუმლო
და მე ერეკლეს ქალად აღარ ვიწოდებოდე,
თუ...

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მიბრძანე, მორჩილს, ბატონიშვილო...

თ ე კ ლ ე — მაშინ მეც შენთან ჭირსა და ლხინში. (გარბის).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — თეკლე! თეკლე!

(შემოდის ერეკლე).

დღეგრძელი იყოს მეფე ბატონი!

ე რ ე კ ლ ე — ორბელიანო! შვილო ვახტანგ!
მოდი ახლოს, გულში ჩაგიკრა!
(გულში ჩაიკრავს).
გმადლობ, უფალო! მტერი ჩემზე არ გაახარე...

მეტეხის დაბლა, აბოს ნიშთან.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე — (დუდუკზე მღერის). ვინა სთქვას, ძმებო, ერეკლეს ქება?
მოსული მტერი

დნება და ჰქრება!
საწყალი კაცი სულ ფეხზე დგება...
თქვენ გენაცვალეთ, თქვენი ჭირიმეთ.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი — ჯან! ჯან! იფ, შენი გულისა!

მ ო ქ ა ლ ა ქ ე — (დუდუკზე). ერეკლე ქვეყნის არის ბადალი,
მოიგერია მტერი მრავალი,
მას ეჯავრება კაცი ჯაბანი,
თქვენ გენაცვალეთ, თქვენი ჭირიმეთ.

დ ა რ ჩ ო — არ მოიწყინოთ, თქვენს მარჯვენას ვენაცვალე!
აბა, ინებე შემწვარი სუკი!

ს ქ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე — იმის მკლავს გაუმარჯოს, ვინც ხვალ
ბრძოლაში თავს ისახელებს.
დაასხი, დალიე! აუვსე, გადადი.
(ლხინობენ. მოქალაქენი უმასპინძლდებიან).

ხ ე ვ ს უ რ ი — სულ აქ არიან ლომებრ ვაჟკაცნი, სახლში დავტო-
ვეთ მხოლოდ ბებრები.

ქ ა რ თ ლ ე ლ ი — ბებრისა რქანიც ეწევიანო,
ჩვენც წაგვიყვანეთ, გვეძახიანო.

ქ ი ტ ე ლ ა — ბებერს რას ერჩით, მე აქ არა ვარ?
ბრძოლის წინ, ძმებო, გულიანად უნდა ვილხინოთ!
რამდენი წვეთიც ღვინო დავლიოთ,
იმდენი მტერი მკვდრებში გავრიოთ!

ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი — გავიგეთ, მეფეს გაუჭირდაო,
შევიყარენით არაგველები
მაგრამ მოვარდა ვიღაც ოხერი,
გვითხრა: ერეკლემ ზავი დაუდო,
სად ოხრობაში მიიჩქარითო, ალბათ, ის კაცი ეშმაკის იყო.

ხ ე ვ ს უ რ ე ბ ი — ჰაი, ჰაი, ეშმაკის იყო!
მიწამ ჩაყლაპა, ცამ პირი უყო.

კ ა ხ ე ლ ი — ხევსურო, ხმალი შენ გიჭრის,
შენ ხარ ნაქები ბარადა;
ღვინოს რო დაგალევინებ,
არ ღირხარ არც ერთ ფარადა.

ხ ე ვ ს უ რ ი — კახელო, ქების ღირსი ხარ,
ღვინოში დაგიკვეხია.
ფხიზელი მუნჯი მგონიხარ,
მთვრალს ჩხუბი აგიტეხია;
სალხინოდ მოსულ სტუმრისთვის

თავიც კი გაგიტეხია. (იცინიან).

დ ა რ ჩ ო — აბა, თქვენ გენაცვალეთ, ისიამოვნეთ. ვაჰ რა მწვადე-
ბია! ვაჰ რა ღვინოა!

გ უ შ ა გ ი — შენს ენას ვენაცვალე!..
ვინ არის ჩვენში მშიშარა — სულ ლომები არიან!

გ ე ლ ა — წავალ და დავკრავ, მოსულ მტერს დავკრავ,
გამარჯვებული შინ დავბრუნდები,
ქორწილს გადვიხდი იმ შავთვალასთან.
სტუმრებს მოვიყვან დართულ ურმებით.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი — ჯან! ჯან! შენ გენაცვალე მკლავ-მარჯვენაში.

ი მ ე რ ე ლ ი — ძამია, შენი ქორწილი ხვალ ბრძოლის ველზე
იქნება, თუ ივაჟკაცე და ხოჯა-ხანის მოპარსული თავი
მეფეს მოართვი, ოთარ სარდალი თავის ქალიშვილს შენ
მოგათხოვებს და ზურაბ წერეთელი მაყრად გამოგყვება! და-
მიჯერე, ასე უთქვამს გუშინ ოთარ სარდალს.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე — დიდხანს იცოცხლე, ზურაბ წერეთელო... ჯან! ჯან!
ჯერ კიდევ უჭრის ერეკლეს ხმალი,
თუ მტერს უწია, ვაჰ მისი ბრალი.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი — ჯან! ჯან!

გ უ შ ა გ ი — ჰეი, ვაჟკაცი ვინ არის,
ფშავ-ხევსურ-იმერ-ამიერ?
ვინც ასახელოს ერეკლე,
სცოცხლობდეს მრავალჟამიერ.

ხ ე ვ ს უ რ ი — (ქიტელას).
ქიტელ! ამბობენ:
დიდძალი ჯარით მოდის მტერიო!
ამას იმიტომ არ მოგახსენებ — მტერმა შეგვაკრთოს.
მე გაგახსენებ:
ერთხელ მე და შენ ერეკლეს რომ ცალკე ვუთხარით!
ვსთქვათ გავიმარჯვეთ...
მტერი მაინც არ მოგვასვენებს...
არა, ჩემმა მზემ...
აი, უცქირე იმ არაგველებს,
მხოლოდ სამასი ძლივსღა მოგროვდა...
გაწყდნენ ვაჟკაცნი!
გწამდეთ, ესენიც ძვლებს აქ ჩაჰყრიან...
თქვენ ძმობას ვფიცავ, ასე იქნება!
მტერს კი ჩვენ ლაჩრულ ზურგს არ ვუჩვენებთ!
და თუ ჩვენც გავწყდით, ბალღებს ვინ დაზრდის?

ჩვენ რაც ვუთხარით ერთხელ ერეკლეს
— გახსოვს, იქ, მთაში? —
ის აზრი კიდევ გავუმეოროთ!
კავშირი გვინდა!..
მფარველობა დიდი ხელმწიფის...

ქ ი ტ ე ლ ა — ღვთისავარ, ჩემო!
ახლაც ელჩები მოსკოვს არიან!..
თვითონ ერეკლემ ასე მიბრძანა...
ვინ იცის, იქნებ, მოდიან კიდეც დასახმარებლად!

ხ ე ვ ს უ რ ი — შენ გაიხარე...

(დაიწყო სიმღერა და ცეკვა. შუა ცეკვის დროს შემოჰკრეს სიონის ზარებს, რომლის ხმაზე მთელი ხალხი გაქვავდა და სმენად გადაიქცა. საყვირთა ხმაზე შემოდის ერეკლე, გარშემორტყმული თავისი სარდლებით. იგრიალა ხალხმა: „ერეკლე, ერეკლე, ერეკლე მეფევ!“ დაეცენ მუხლებზე და ქუდები მოიხადეს, ერეკლე წამოვიდა წინ, შეწყდა ზარების რეკვა).

ე რ ე კ ლ ე — აბო თბილელო, წამებულო, წამებულ თბილისს
ნუ გახდი მტერთა სათელად!
ერმა შეგმოსა სიყვარულის შარავანდედით
და შენს ნათელ ხელს ჩააბარა დედაქალაქი!
დღესაც მფარველი შენა ხარ მისი
და ჩვენს თბილისს შენ შეგავედრებთ,
შენ დალოცე ჩვენი მარჯვენა,
შემუსროს მტერი მოძალადე, შემოსეული,
დაიცავ ხალხი, მოეც ძალა გასამარჯვებლად.

(წამოდგა).

აღზდექით შვილნო და მომისმინეთ!
აი, ამ თბილისს, საქართველოს გულს, დედაქალაქს,
სისხლის წვიმობა დასდგომია ურდოებისგან.
მღვრიე ტალღებად წამოსულან არაბ-მონგოლნი,
სპარსნი, ხარაზნი, ლეკნი, ოსმალნი!
ჯალალედინმა ორჯერ რისხვა თავს დაატეხა,
გამარჯვებულმა ზედ სიონზე ტახტი დაიდგა
და სიმაღლიდან დასცქეროდა ხალხის წამებას.
აღიღო, დასწვა ბუღა-თურქმა, მცხოვრებნი მოსრა
და ბაზარს მისცა გასაყიდად ახალგაზრდობა.
რისხვით მძვინვარე თემურ-ლენგმა რკინით დალეწა,
რვაჯერ აიღო და ცეცხლს მისცა დედაქალაქი,
ხოლო ბავშვები თვით ცხენოსანთ გაალეწინა.

ისმაილ-შაჰმა, ლალა-ფაშამ და შაჰ-თამაზმა
მოსრეს, წაბილწეს და სინდისი ერს შეუგინეს,
მაგრამ თბილისი, როგორც ხედავთ, ისევ ამდგარა,
გოდების ნაცვლად ისევ ლხინი გაჩაღებულა,
ჩვენი სიონი და მთაწმინდა ამაღლებულა!
ვისი წყალობით?
თქვენი მშრომელი წინაპრების, დიახ, წყალობით
და იმ გმირების, ვინც უტეხად მტერს შეეგება!
და ნუთუ ახლა ქართვლის ხმალი ისე დაჩლუნგდა,
რომ უსამართლოდ შემოსეულს პასუხს ვერ გავცემთ?

ხ ა ლ ხ ი — გავცემთ პასუხს, გვიბრძანე, მეფევ!
გვიბრძანე, ერეკლე!

(სარდლები ხმლებს დახრიან ერეკლეს წინაშე).

ე რ ე კ ლ ე — უფალო, იხსენ ერი შენი, დაამკვიდრე სამკვიდრებელი შენი!

(დაჰკრა საომარმა მუსიკამ. ერეკლემ ხმლით გადაუჭრა სარდლებს ხმლები, წამოდგა წინ და ხმლით ანიშნა ბრძოლის ველისკენ. დაიძრა ჯარი სიმღერით).

მეოთხე მოქმედება

კრწანისის ბრძოლა

ერეკლე, ხუდია, ვახტანგ და თეკლე (დარაჯად).

ხ უ დ ი ა — აგერ, ბურუსი გადაიყარა...
ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ირანელების ჯარი გამოჩნდა.
ხ უ დ ი ა — ცხენოსანია!
ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ქვეითი მეტობს!
აჰა, გავარდა ზარბაზანი!..
ხ უ დ ი ა — ალაჰ! შენ მოეც მეფეს გამარჯვება!
მეფევ ბატონო!
მოგეხსენება, უქმად დგომა ძნელია ჩემთვის!
მე რას მიბრძანებ?
ე რ ე კ ლ ე — დამშვიდდი, ხუდია!
ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ჩვენს წინა რიგებს აქეთ-იქიდან ეტანებიან.
ხედავ ერთმანეთს თვითონ ჰქელავენ!
ხ უ დ ი ა — შენს მზეს, ბატონო, მიბრძანე რამე.
ე რ ე კ ლ ე — ჩემთან იქნები!
ხ უ დ ი ა — გული ვერ ითმენს.
ე რ ე კ ლ ე — ხუდია! ჩვენი დროც მოვა!
ს ო ლ ო მ ო ნ ი — (შემოდის). მეფე ბატონო!
სახელდახელოდ შემდგარი ჯარი ელის ბრძანებას!
ე რ ე კ ლ ე — სულ რამდენია?
ს ო ლ ო მ ო ნ ი — ხუთასი, ბატონო!
ე რ ე კ ლ ე — დაგვჭირდებიან! ჯერ დაიცადონ!
ს ო ლ ო მ ო ნ ი — (თეკლეს შეამჩნევს). შენ, ყმაწვილო!
თ ე კ ლ ე — ჩუმად, სოლომონ!
ს ო ლ ო მ ო ნ ი — როგორ იქნება!..
თ ე კ ლ ე — შენ სთქვი, მარტოკა არ იქნებაო!
ახლა ხომ თქვენთან...
ს ო ლ ო მ ო ნ ი — მამაშენი...
თ ე კ ლ ე — (ნახევარის ბრძანებით). გაჩუმდი, სოლომონ!
ე რ ე კ ლ ე — სოლომონ!
ს ო ლ ო მ ო ნ ი — აქ გახლავარ!
ე რ ე კ ლ ე — მაჩაბელს უთხარ, ასამდე კაცი,
მჭედელ აღალოს მეთაურობით,

დავითს აახლოს!
აბა, ისწრაფე! (სოლომონი გადის).
(თეკლეს). შენ კი, ყმაწვილო.
აფრინე ცხენი, სწრაფად! დავით ბატონიშვილთან.
ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მე მიბრძანე...
თ ე კ ლ ე — მეფევ, მე მზად ვარ...
ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მაგას მე შევძლებ... იქ ბრძოლა არის...
ე რ ე კ ლ ე — შენ აქ მჭირდები!
უთხარ, რომ მტერი განგებ იხევს და არ მოტყუვდეს...
აგრეთვე უთხარ — მოგივა-თქო დამხმარე ჯარი!
აბა, სწრაფად! (თეკლე გადის).
ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რა ვქნა, როგორ გადავარჩინო...
გზაში საფრთხეა და სიკვდილი...
ბატონო მეფევ, თქვენ რომ იცოდეთ, ის... შემიძლიან.
ე რ ე კ ლ ე — ვიცი, შეგიძლიან!
გ ე ლ ა — (შემოდის). მეფევ ბატონო!
ე რ ე კ ლ ე — ვინ ხარ? საიდან?
გ ე ლ ა — გელა გათენაშვილი;
შიკრიკად მგზავნის იოანე ბატონიშვილი!
იოანეს ჯარი შემოიმწყვდიეს
და მთელი ძალა მას მიაყარეს!
თუ არ უშველით, განსაცდელშია!
ე რ ე კ ლ ე — წადი და უთხარ:
ამილახვარი დაეხმარება,
ნაბრძანებია უკვე ადრევე.
გ ე ლ ა — იყავ დღეგრძელი! (გადის).
ხ უ დ ი ა — ხედავთ, იოანე ბატონიშვილმა
გამოასწორა სახიფათო მდგომარეობა.
ფერდობებიდან ქიზიყელები დაეშვნენ რისხვით...
ჩვენები უკვე სანგრებს სტოვებენ
და იერიშით მიდიან მტერზე.
ე რ ე კ ლ ე — არ არის კარგი! ფიცხობს იოანე!
ხ უ დ ი ა — მილეწ-მოლეწა...
ჯარი შეტბორდა!
ალაჰ! მარცხნიდან გზა გადაუჭრეს...
მიბრძანე, მეფევ, მიბრძანე, შენი ჭირიმე!
ე რ ე კ ლ ე — მოითმინე!
ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მარჯვნიდან ზურაბ წერეთელი წამოეშველა...
ზურაბმა დასცა! დროშა წაართვა!

უჰ, როგორ დაჰკრეს... აგერ გარბიან...

მ ა ლ ხ ა ზ-შ ი კ რ ი კ ი — მტერი გარბის, ბატონო მეფევ...
ირანელები ახლო მოვუშვით, როგორც გვიბრძანე.
ცხვრის ფარასავით გვაწყდებოდნენ ზარბაზნის ცეცხლზე,
უკანა წყებამ არ იცოდა წინ რა ხდებოდა,
აქეთ-იქიდან გვეტანებოდნენ,
მაგრამ ჩვენებმა უცბად დაჰკრეს, მტერს მიეძალნენ,
მირეგვ-მორეგვეს, რაც კი წინ დახვდათ
და ვინც გადარჩათ, შავნაბადისკენ
დაახევინეს არევ-დარევით.

გ უ შ ა გ ი, მე-2 შ ი კ რ ი კ ი — მეფევ, მალქაფა წამოვიდა ახალი ჯარის
სულ დარჩეული ცხენოსანი, ხმლებით, შუბებით.
მათი წამოსვლა მტკვრის ნაპირებს აზანზარებდა.
ალყაში მოჰყვნენ იოანე და ამილახვარი!

მე-3 შ ი კ რ ი კ ი — მეფევ, ჩვენია გამარჯვება!
მტერი დამარცხდა და ჩვენ დაგვრჩა მათი დროშები,
სარდლებმა ამის მახარობლად მე გამომგზავნეს...

ე რ ე კ ლ ე — რომ დღეს მარგუნეს სიხარული, მადლობას ვიხდი,
მაგრამ რაც ჰქმნეს, გამარჯვებად არ ჩაითვლება:
განა თქვენ შეხვდით ჯაფარ-ყული-ხანს?

1-ლ ი შ ი კ რ ი კ ი — არა, ბატონო!

ე რ ე კ ლ ე — მაზანდარელთა ცხენოსან ჯარს შეებრძოლენით?

მ ე-2 შ ი კ რ ი კ ი — სულ არ გვინახავს!

ე რ ე კ ლ ე — რომ არ გინახავთ,
არც სანგრებს უნდა გასცილებოდით!
ჯაფარ-ყული-ხან, ძმა ხოჯა-ხანის,
დიდი სარდალი, გამოცდილი მრავალ ომებში,
ჯერ უკან არის მაზანდარელ რჩეული ჯარით.
აი, ის არის ჩვენთვის საშიში
და რომ თქვენ სტოვებთ სანგრებსა და წინ გადადიხართ,
ამით აშკარა ხდება მტრისთვის ჩვენი სისუსტეც
და ჩვენი ძალაც.
მტერს სურს და სცდილობს გაგვიტყუოს გაშლილ მინდორზე,
ჩვენ კი აქ გვინდა ამოვახრჩოთ, ამ ვიწროებში.

(ასტყდა ზარბაზნების სროლა).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რა ამბავია? ნუთუ იერიში განაახლეს?

ე რ ე კ ლ ე — ალბათ, ის მოდის, ჯაფარ-ყული-ხან!
საბედისწერო ბრძოლა, აი, ახლა იწყება!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — დავითი აქეთ ცხენს მოაქროლებს...

ე რ ე კ ლ ე — წადით, გადაეცით: სროლა გაბმული!
ერთმა მეორეს თოფი უტენოს. შემწე ღმერთია!

(შიკრიკები გადიან. მეორე მხრით შემოდის დავით ბატონიშვილი).

დავით, რას ნიშნავს?

დ ა ვ ი თ ი — გამოჩნდა ჯარი მაზანდარელთა...
იმათ უშენენ... ბრძოლა რთულდება.

ე რ ე კ ლ ე — შენთან ყმაწვილი გამოვგზავნე, გატყობინებდი...

დ ა ვ ი თ ი — არ მინახავს, არტილერია უკან დავწიე.
იქ, სადაც ვიდექ, ახლა ბრძოლაა
და თუ შიკრიკი იქ მოეტანა,
ან ტყვედ იქნება, ანდა მკვდარია!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — როგორ თუ მკვდარი? მეფევ, ვიხსნი, ნება მიბოძე!

ე რ ე კ ლ ე — აწ გვიან არის.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — (თავისთვის). ვაი ჩემს თავს!
თქვენ რომ იცოდეთ...
მაშ რაღად მინდა თავი ცოცხალი?..
მეფევ, გამიშვი!

ე რ ე კ ლ ე — აქ საჭირო ხარ უფრო მეტად!

დ ა ვ ი თ ი — მე შემიძლიან შევაჩერო მტერი მცირე ხანს,
შემდეგ არ ვიცი...
რადგან მე ხალხი ძლიერ ცოტა მყავს!
და თუ ზარბაზნებს მოუახლოვდნენ,
მაშინ უქმდება შესაძლებლობა,
ჯარი მჭირდება!

ე რ ე კ ლ ე — ჯარი მოგივა!
გამოიყენე მოქალაქენი... მშვიდობით!

დ ა ვ ი თ ი — მშვიდობით, პაპავ!
გწამდეს, ცოცხალი არ დავნებდები
და რომ გიორგი მამაჩემმა გაჭირვების დროს
თავისი ჯარი კახეთიდან არ მოგვაშველა,
საფლავიდანაც საყვედურს ვეტყვი!

ე რ ე კ ლ ე — შენთან არს ღმერთი, შვილო დავით!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მეფევ ბატონო...

ე რ ე კ ლ ე — შენ აქ სოლომონს დაელოდები...
უთხარ, კოჯრის გზას მიაშუროს! მტერს გზა შეუკრას...

(ხუდიას).

ეხლა კი, ძმაო, ჩვენი დროც დადგა!
ჩქარა ცხენები!

ხ უ დ ი ა — შენ იდღეგრძელე! ჩქარა ცხენები! (გადიან).

ს ო ლ ო მ ო ნ ი — (შემოდის). მეფე სად არის?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მე აქ დამტოვა... თქვენს შესახვედრად...
მაგრამ... სოლომონ...
მეფემ გაგზავნა... თეკლე გაგზავნა...
პირდაპირ ცეცხლში...

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მაგას ვშიშობდი, მაინც არ აგვცდა...
რომ ვერ შესძლებდა ის მძიმე საქმეს...

თ ე კ ლ ე — (შემორბის). შევძელ, სოლომონ!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ბატონიშვილო!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — შენ გაიხარე!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — როგორ გადარჩი?

თ ე კ ლ ე — ცხენმა მიშველა! ჩქარა კოჯრისკენ!
შევხვდი და ასე დამავალა: ჩქარა კოჯრისკენ!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ბატონიშვილო, შენს თავს არ ზოგავ...
ნუთუ არ იცი, პასუხს მე ვაგებ!

თ ე კ ლ ე — ეგ შემდეგ... შემდეგ...
თუ ბრძოლა არის, დე ბრძოლა იყოს.
იცით, რა ვნახე?
უცბად მტრის გულში შეიჭრა მამა...
ბორჩალოელნი მისდევდნენ უკან!
ვიღაც სარდალი ცხენოსანი გადაეღობა,
აღმართა ხმალი, უნდა დაეკრა.
მაგრამ დაასწრო მამაჩემმა ელვის სისწრაფით...
და სარდლის თავი დაბლა გაგორდა!
აბა, წავიდეთ, ჩქარა წავიდეთ!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ბატონიშვილთან კოჯრის გზისკენ!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — სჩანს რკალს გვარტყამენ! ეხ, მეფევ ჩემო!
შემოგისიეს, გიღალატეს, ჰსურთ დაგაჩოქონ,
რომ დააჩოქონ მით საქართველოც!
ეს არ მოხდება! არაოდეს!
მოქალაქენო, ჩვენი დროც დადგა!

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი — სცოცხლობდეს ჩვენი მეფე ერეკლე!

აღა-მაჰმად-ხანის კარავი

ა ღ ა-მ ა ჰ მ ა დ. — აა! რა ხდება ეს?
ჩემი ძლიერება იმსხვრევა თბილისის კედლებთან...

ნუთუ აქ უნდა მომეღოს ბოლო?
ნუთუ ერეკლემ ჩემი ჯარი გაანადგუროს?
მე ტყვედ ჩამიგდოს!
მაშინ რა მოხდეს?
(ელდანაცემი). აა!
ქართველთა მეფე ირანის ტახტზე!
არა! დაინგრეს ყველაფერი! სიკვდილი ყველას!
აგერ ბრძოლაა!
თითქოს ჩემები უკან იხევენ!
თითქოს უწიეს ჩემს კარავამდე...
ჩემი სარდლები იხოცებიან!
ჩემი დროშები იქელებიან...
რატომ? ვის გამო?
საფარ!
შემოათრიე, ვინც მიღალატა და გააქცია ორბელიანი!

(საფარ გადის).

რა სამსახურიც გამიწია მე ციციშვილმა,
მან, ერთმა ძაღლმა შემოჩენილმა,
სრულად მომისპო!

(შემოჰყავთ ალი-სადუხ-ბეგი).

შენ ვინ ხარ? სადაური ხარ?

ს ა დ უ ხ — ყარაბაღელი ალი-სადუხ-ბეგ.

ა ღ ა — ვინ მიგიღო ჩემს ჯარში?

ს ა დ უ ხ — შენმა სარდალმა.

ა ღ ა — იბრაჰიმ-ხანთან, იმ მოღალატესთან, მსახურობდი? შენ მისი
მოჩენილი ხარ! მან დაგავალა ქართველებს ცნობა მიაწოდო.
კაცი მომიკალ, ჩემი ერთგული. ჰღალატობ ალაჰს? ჰღალა-
ტობ მაჰმადს და ქართველების მხარი გიჭირავს?

ს ა დ უ ხ — მე ჩემი რწმენის ერთგული ვარ, დიდო მბრძანებელო.

ა ღ ა — რა არის შენი რწმენა?

ს ა დ უ ხ — ალაჰი ბრძანებს: იყავ ყველასთან სამართლიანი და მაშინ
გასჭრის მახვილი შენი.

ა ღ ა — ალაჰ! განა მე სამართლიანი არ ვარ?

ს ა დ უ ხ — შენი სიმართლე ირანს სჭირდება, ეს კი გურჯისტანია.

ა ღ ა — გურჯისტანია?

ს ა დ უ ხ — გურჯისტანს ჰყავს თავისი ხანი და აქვს თავისი სიმარ-

თლე. წადი ირანში! შენი ტახტი იქ განამტკიცე.

ა ღ ა — ამიტომ მიღალატე და ვახტანგ ორბელიანი
გააპარე? სიკვდილი შენ!

ს ა დ უ ხ — ვერ ეღირსები:
ვერც გამარჯვებას და ვერც ყაენის სახელწოდებას!

ა ღ ა — გაათრიეთ! (გაჰყავთ).
რა სთქვა ძაღლმა...
„შენი სიმართლე ირანს სჭირდება“
და განა გურჯისტანი ირანს არ ეკუთვნის?
(ნერვიულად). ეკუთვნის... ეკუთვნის-მეთქი!

ყ უ ლ ი-ხ ა ნ — დიდო მბრძანებელო, მაშველ ჯარს თხოულობს
ჯაფარ-ყული-ხან.

ა ღ ა — რაო? ჩემი ძმა ჯაფარიც? მაშველ ჯარსა თხოულობს?

ყ უ ლ ი-ხ ა ნ — თხოულობს მხოლოდ სამი ათასს, ირანის მზეო!

ა ღ ა — მაშველ ჯარსა! რაღა მაშველი უნდა კიდევ, როდესაც ლაშ-
ქრის ნახევარი მის ბრძანებას ემორჩილება? ოცი ათასი ირა-
ნელი არ კმარა განა, სუსტი და მცირერიცხოვანი ქართველ-
თა ჯარი გაანადგუროს? გადაეცი ჯაფარ-ხანს, რომ ლოცვის
ჟამი ჯერ არ დამდგარა, ალაჰს ვთხოვო ჩემი სარდლისათვის
მოწყალება! გასწი!

(გადის).

თითქოს ლაშქარი იგივეა, მთავარსარდალიც, მტერიც იგივეა,
უფრო სუსტი, ღონედაცლილი. მთელი დღე ბრძოლა სწარ-
მოებს და ყოველ მხრიდან მხოლოდ ეს მესმის: მაშველი, მალ-
ქაფა ჯარი! ნუთუ დავმარცხდი? ნუთუ მომატყუა რევაზ
ციციშვილმა და ისიც ერეკლეს კაცი არის? საზარელია, სა-
ზარელი! საცაა ბინდი ჩამოწვება და წინ ვერ წავდგით ერთი
ნაბიჯიც. ეს ხომ ბრძოლის წაგებას ნიშნავს — დიახ წაგებას!
აღა-მამედ-ხან, სიზმარში ხარ, თუ რა მოგივიდა? არა, არას-
დროს! საბედისწერო ჟამი დადგა, ახლა უბრალო შემთხვევა-
საც კი შეუძლიან მთლად დაღუპოს ირანის მპყრობელი და
მისი ლაშქარი! ნუთუ დასრულდა შენი ცხოვრება აღა-მამედ-
ხან! ნადირ-შაჰის გაზრდილმა მოგიღო ბოლო.

ჯ ა ფ ა რ — (შემოვარდება). ძმაო, მაშველი, თორემ დავმარცხდით.

ა ღ ა — იმის მაგივრად, შენს სიცოცხლეს მევედრებოდე, ჯარს
მთხოვ, ჯაფარ! გასწი, გამეცალე, ვიდრე ჯალათს დავუძახებ-
დე. ო, ალაჰ! დიდო მაჰმადო, კაცის სიბეცევ! ალი-ყული-ხან!
უბრძანე, ჩემი თურქმენები გარშემომერტყან! უბრძანე ჩემს

სარდლებს უკან დაიხიონ. უნდა დავტოვოთ თბილისი.

ჯ ა ფ ა რ — როგორ თუ დატოვო?

ა ღ ა — აღსრულდეს ნება ალაჰისა, რაც გვიწერია, ის არ აგვცდება.
ჯადო ჰფარავს ერეკლე მეფეს? მაშ როგორ შესძლეს ქარ-
თველებმა ჩემი დამარცხება?

ჯ ა ფ ა რ — რას ამბობ, ძმაო! ვინ სთქვა ჩვენი დამარცხება?

ა ღ ა — უნდა დავბრუნდე!
იქ, ჩემს ერთგულებს მივაშურო!

ჯ ა ფ ა რ — სად გყავს ერთგული?
ვინ გყავს ერთგული?

ა ღ ა — ჯაფარ! ნუ განმარისხებ!

ჯ ა ფ ა რ — ძმაო, დამშვიდდი და მომისმინე!

ა ღ ა — შენც გაგიძნელდა... შენც! შენც!

ჯ ა ფ ა რ — მომეცი ჯარი და ერეკლეს აქ ტყვედ მოგიყვან!

ა ღ ა — განა გიჟი ვარ,
უკანასკნელი ჩემი ბურჯი ციხე-სიმაგრე,
თურქმენთ ლაშქარი,
თბილისის ბჭესთან გავანიავო?
არა! ჩვენ უნდა დავსტოვოთ საქართველო!

ჯ ა ფ ა რ — შეუძლებელია!

ა ღ ა — ნუ მიხირდები!

ჯ ა ფ ა რ — შენ, ნადირ-შაჰისაგან დევნილმა, შესძელ
ამაღლებულიყავ.
და დღეს მთელი ირანი თითქმის შენს ხელშია,
საქართველოდან უკან დაბრუნდე დამარცხებული?

ა ღ ა — ჯაფარ, მოთმინებიდან ნუ გამომიყვან!
აასრულე ჩემი ბრძანება!
უნდა გავეცალოთ ამ წყეულ მიდამოებს! უთხარით
სარდლებს...

ჯ ა ფ ა რ — შეჩერდი, მაჰმედ!

ა ღ ა — ჯაფარ! ჯალათის გეშინოდეს!

ჯ ა ფ ა რ — შეჩერდი-მეთქი! მომისმინე!
დამარცხებული შენ უკან იხევ? გარბიხარ შერცხვენილი!
სად გინდა ჰპოვო თავშესაფარი?
სად მიგესვლება?
შენ, გამარჯვებულს, თავს არ გიხრიდნენ,
მაშ დამარცხებულს ვინ მიგიღებს, ან ვინ დაგინდობს?

ა ღ ა — ჯაფარ!

ჯ ა ფ ა რ — განწირული ხარ! განწირული!
და აქ სიკვდილი გირჩევნია,
ვიდრე ირანში მიხვიდე შენ დამარცხებული!
ა ღ ა — ჯაფარ!
ჯ ა ფ ა რ — ძმაო, დაფიქრდი!
მზვერავებისგან გაგებული მაქვს,
ჯარი ერეკლეს თითქმის აღარ ჰყავს,
არც საიდანმე მაშველს მოელის.
იგი ციხეში ჩაიკეტა ათასხუთასით!
ამას მე მისი ბანაკიდან მატყობინებენ!
და შენ გარბიხარ?
ა ღ ა — (თავისთვის). „მე გამარჯვებულს თავს არ მიხრიდნენ“.
ჯ ა ფ ა რ — მომეცი ჯარი!
ა ღ ა — (თავისთვის). „მაშ დამარცხებულს ვინღა მიმიღებს?“
ჯ ა ფ ა რ — თუ ერთხელ კიდევ დავკარით მაგრად,
მეფე ერეკლეს აქ ტყვედ მოგიყვან!
ა ღ ა — ჯაფარ!
ჯ ა ფ ა რ — აჰა, შუა გამკვეთე. (უჩოქებს).
არ ავდგები, სანამ შენ დასტურს არ მაღირსებ!
ა ღ ა — დაე აღსრულდეს! (აყენებს).
წადი, წარუძეხ მაზანდარელებს!
რამდენი გინდა?
ჯ ა ფ ა რ — სამი ათასი!
ა ღ ა — სულ შენ წაიყვა!
შენი მფარველი იყოს ალაჰი!
ჯ ა ფ ა რ — იყოს აგრეთვე შენი მფარველიც! (გადის).
ა ღ ა — აი, ჯაფარ, ჯაფარ! მაშ აგრე არის?
ხალხში ამბობენ, თითქოს ტახტი შენ დამიმკვიდრე!
როცა ირანში დავბრუნდებით, უნდა სთქვა ჩემზე,
რომ მე გავრბოდი, შენ კი ბრძოლას ითხოვდი მტერთან?
არა? ვერ იტყვი!
ჩემი სისუსტე
მარტო მე უნდა ვიცოდე და მაღლა ალაჰმა!
საფარ!
ს ა ფ ა რ — (შემოდის). გისმენ, მბრძანებელო!
ა ღ ა — გახსოვს, სიცოცხლე შეგინარჩუნე!
ს ა ფ ა რ — შენი წყალობა ნუ მომაკლოს, ირანის მზეო!
ა ღ ა — მინდა შენ კიდევ დიდხანს იცოცხლო!
ს ა ფ ა რ — შენი ნათელი ბნელს მინათებდეს!

ა ღ ა — მაშ დაიხსომე:
ჩემმა ძმამ გინდა გაიმარჯვოს, გინდა დამარცხდეს,
მისი სიცოცხლე აღარ არის ჩემთვის საჭირო!
ხომ მიხვდი, თუ რას გეუბნები?
ს ა ფ ა რ — იყოს ნება შენი, მზეო ირანისავ!
ა ღ ა — მაშ, გასწი!
ჯაფარის ლაშქარს გაჰყევ უკან!
თბილისს აიღებს, თუ დაიხევს,
ამ ცნობაზე ადრე
ჩემს ფეხთ წინაშე ჯაფარის თავი უნდა გაგორდეს.
ს ა ფ ა რ — ალაჰ, შენ იყავ ჩემი მფარველი!

იგივე თბილისის მოედანი.
(რევაზ ციციშვილი და ფანოზაშვილი, მათ უკან ირანელები).

რ ე ვ ა ზ ი — დამარცხდა ბებერი! სად წამივა? ჩემს ხელში არის!
აბა ჩქარა! ტყვედ შეიპყარით!
წყალობად ჩემგან ათასი ოქრო!
შეუტიეთ! (ირანელები გადიან).
ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — მადლობა ღმერთს, ირანელებმა
კარი გაგიღეს, გადაგარჩინეს,
თორემ უშენოდ ჩვენი ყოფნა არ იქნებოდა.
რ ე ვ ა ზ ი — ფანოზაშვილო, ნუღარ აყოვნებ!
ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — ოღონდ მიბრძანე და ვინ თავმკვდარი
ცეცხლში არ ჩავდგე...
ვაჰ, შენ გენაცვალე, რევაზ!
რ ე ვ ა ზ ი — წადი! ქუჩებში ყველგან იყვირე და სხვაც აყვირე:
დამარცხდა მეფე!
დაჰყარონ იარაღი!
დანებდნენ ირანელებს!
ფ ა ნ ო ზ ა შ ვ ი ლ ი — მარტო ეგ არის? სულ ადვილია... (რევაზი აცილებს).

ჰეი, ოხრებო, უგუნურებო!
მეფე დამარცხდა, დაჰყარეთ იარაღი!

(შემოდის მარიამ დედოფალი, უკან მხლებელი).

მ ხ ლ ე ბ ე ლ ი — ჩქარა, დედოფალო, ჩქარა წავიდეთ!
მ ა რ ი ა მ ი — ვაი, ასეთ დღეთა მოსწრებას!
მ ხ ლ ე ბ ე ლ ი — აგერ, ქუჩებში ბრძოლაა ყველგან!

მ ა რ ი ა მ ი — მე უბედურმა ვეღარ მოვუსწარ!
ნუთუ დასრულდა ყოველივე?
მ ხ ლ ე ბ ე ლ ი — ცდა ყოველგვარი ამაო არის!
რ ე ვ ა ზ ი — (ბრუნდება). მარიამ!
მ ა რ ი ა მ ი — (გაშრა). რევაზ!
რ ე ვ ა ზ ი — ჰაა! შენ ჩემო დაიკო! შენ ჩემო დედოფალო!
ეს შენ ინებე ჩემი დაღუპვა?
ბებერ მეფესთან შენ დამასმინე?
მ ა რ ი ა მ ი — შე უსირცხვილო, რა პირით მხვდები?
რ ე ვ ა ზ ი — მაშ არ ელოდი ჩემთან შეხვედრას?
ალბათ, ბედს უნდა ვუმადლოდე,
გნახე გამცემი,
ძმის გამყიდველი!
ახლა რას იტყვი?
რა პასუხს გამცემ?
მ ა რ ი ა მ ი — ვაი ჩემს მშობლებს, შენ გაგაჩინეს!
რატომ განგებამ აკვანშივე არ ამოგახრჩო!
რ ე ვ ა ზ ი — მაშინ ხომ ვეღარც გამცემლობით ისახელებდი?
მ ა რ ი ა მ ი — უგუნურო! გზა, გზა შომეცი!
რ ე ვ ა ზ ი — ახლაც ეძიე ცხრამთას იქით ბედნიერება
და „უგუნური“ შენი ძმა რევაზ ადგილს მიგიჩენს.
მ ა რ ი ა მ ი — ჩამომეცალე!
რ ე ვ ა ზ ი — რატომ არ მოვლენ, არ გიშველიან?
სად არის შენი მამამთილი?
მ ა რ ი ა მ ი — ჩემი მფარველი მაცხოვარია!
რ ე ვ ა ზ ი — ვერსად წამიხვალ, ქალბატონო, შენ ჩემი ტყვე ხარ!
მ ა რ ი ა მ ი — შენი დანახვა მეზიზღება! ჩამოდექ გზიდან!
რ ე ვ ა ზ ი — რა სამსახურიც შენ გამიწიე სისხლით ნათესავს,
ახლა ძმა შენი ერთიორად მოგიზღავს ჯილდოს
და შენს მამამთილს ვაცქერინებ შენ დამცირებას
და მაშინ ჰნახავ...
მ ა რ ი ა მ ი — შენგან ჩადენილ ბოროტ ზრახვებს
კიდევ რა გინდა დაუმატო, შე საცოდავო?
რ ე ვ ა ზ ი — ძვირფას ნობათად მივართმევ შენ თავს ირანის მნათობ ქალბატონს!
მ ა რ ი ა მ ი — რევაზ, წერას აუტანიხარ!
რ ე ვ ა ზ ი — გომბიო!

(გამოემართება შესაპყრობად).

ბ ხ ლ ე ბ ე ლ ი — ბოროტო გველო, ხელი დედოფალს!

(დამბაჩას დაახლის).

მ ა რ ი ა მ ი — სისხლს გარიდებდი, მაგრამ მე რა ვქნა,
ასეთი ბოლო თვითონ ისურვე!
ბ ხ ლ ე ბ ე ლ ი — მიბრძანდი ჩქარა, დედოფალო! (გადიან).

(ვახტანგ ორბელიანს მოსდევენ ირანელები. ჰსურთ დროშა წაართვან. შეებრძოლებიან, ვახტანგი დროშას თეკლეს გადასცემს. თეკლე ჰკლავს ირანელს და დროშას გაიტაცებს. ვახტანგი ბრძოლით თავს ინთავისუფლებს და გარბის).

ქ ი ტ ე ლ ა — ვხოცავთ და მაინც არ ილევიან!
სანამ თქვენ მეფეს ხელს მიაწვდენდეთ,
ჯერ უნდა ჩემთან მოათავოთ, ძაღლის შვილებო!

(ესვრის).

მოხვდა! რა კარგი რამ ხარ;
ოი, შენ გენაცვალე. ნაჩუქარო ერეკლესაგან!

(ცოცნის თოფს).

გ ე ლ ა — ქიტელ! მეფესთან! განსაცდელშია!
აგერ ჯარი შეტბორდა!
არაგველებმა შემოუტიეს!
ქ ი ტ ე ლ ა — წყეულებს ვხოცავთ... (მოხვდა).
ბიჭოს, ერიჰაა!
გ ე ლ ა — რა დაგემართა?
ქ ი ტ ე ლ ა — მგონი მომხვდა...
გ ე ლ ა — წამო, წამო!
ქ ი ტ ე ლ ა — ვეღარ, შვილო!
გელა! აჰა, ეს თოფი! ერეკლესაგან ნაჩუქარია!
ს ო ლ ო მ ო ნ ი — (შემოდის). გელა! გელა!
გ ე ლ ა — ქიტელა მოჰკლეს!
ს ო ლ ო მ ო ნ ი — ჩქარა მეფესთან! ჩქარა მარცხნივ.
გ ე ლ ა — ბატონო სოლომონ! აგერ!

(შემოდის ერეკლე, ზურაბ, ამილახვარი, იოანე, დავით, ხუდია და არაგველები).

ა ვ ე ლ ა — მეფევ, შენს მადლსა, მეფევ, ნუ გვიზამ!
ე რ ე კ ლ ე — ო, ვერაგობა, სად გაქვს საწყისი?
ო, ავკაცობავ, სად გიძევს ბინა?
ს ო ლ ო მ ო ნ ი — შენ რომ თავს სწირავ, საქართველოს რა პასუხს აძლევ?
ე რ ე კ ლ ე — ბედო პირქუშო, ჩემს გამიზნულს

გზას თუ შენ მირევ,
ეს იცოდე, სანამ ვცოცხლობ,
არ დაგნებდები.

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — სადაც არა სჯობს, მეფევ, გაცლა სჯობს!

ე რ ე კ ლ ე — ჩემო სიონო, მშობლიურო ცაო და მიწავ,
რაც კი შემეძლო, არ დავზოგე თქვენს დასაცავად.

ი ო ა ნ ე — პაპავ, ძვირფასო... გაეცალე...

ე რ ე კ ლ ე — სირცხვილად მხოლოდ ეს მაკმარე.

დ ა ვ ი თ ი — გემუდარებით.

ე რ ე კ ლ ე — მე ვფიცავ...
წელზე ხმალი არ შემოვიხსნა,
სანამ შენს საზღვრებს სამარადისო გალავანი არ შემოვავლო!

ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი — მეფევ, სამასი არაგველი მკერდით დაგიცავს,
ჩვენ მოგვეც ნება, შენ თავს უშველე.

ე რ ე კ ლ ე — რომ ამდენ ჩაგვრას ბოლო მოეღოს, მოეღოს ბოლო აყრას, ტყვეობას,
ცეცხლსა და ჟლეტას, რასაც ხმამაღლა ღაღადებენ ყოველ ნაბიჯზე
ნგრეული ციხე და კლდეღრეში გამოქვაბული.

ხ უ დ ი ა — მეფევ სიცოცხლე შემოინახე...

ე რ ე კ ლ ე — დროშა წაგვართვეს, ძლიერება საქართველოსი.

ზ უ რ ა ბ ი — შენ დაგენაცვლე, ჩემი თავი შენ შეიწირე...

ე რ ე კ ლ ე — ზურაბ, მოხსენ ლაშქარი და სამშვიდობოს მსწრაფელ გაიყვანე.

ზ უ რ ა ბ ი — (ზურაბის სიტყვებს ყველანი ამბობენ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ეხვეწებიან, ემუდარებიან)
ბატონო მეფევ!
შენ რომ შეგემთხვეს რამე ხიფათი,
ჩვენ რაღად გვინდა თავი ცოცხალი?
უშენოდ ერთი დღეც ნუ მაცოცხლოს!
მეფევ, გვისმინე...

ე რ ე კ ლ ე — დავით ზარბაზნები ხევში ჩაყარე!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — მეფევ შენს მადლსა, შენს თავს უშველე...

ე რ ე კ ლ ე — ხუდია, შენიანებით მარტყოფისაკენ!

ა რ ა გ ვ ე ლ ე ბ ი — მტერს ჩვენ მოვუვლით, პასუხს ჩვენ გავცემთ!

ე რ ე კ ლ ე — დიდი რუსეთი შეწევნას მოგვცემს, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქალაქი
და დავუმკვიდრო ჩემს ხალხს ტანჯულს მამული და თავისუფლება.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ახლა გაეცალე... მიბრძანდი, მეფევ, ანანურისკენ.

გ ე ლ ა — ცხენი მზად არის.
არაგვის ახლოს სოფელ ჟინვალში,
იკითხავ თედო გათენაშვილს — მამაჩემია!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ჩქარა, მეფევ, მტერი მოარღვევს.

ე რ ე კ ლ ე — ვის სურს ხსნა ჩემი, მტერია ჩემი!
იქ უნდა მოვკვდე,
სადაც შვილები იხოცებიან!
გზა, გზა მომეცით!

(გაარღვევს და მიდის. არაგველების გარდა ყველანი გაჰყვებიან).

ს ო ლ ო მ ო ნ ი — გელა, მიჰყე, ძალით გაიტაცეთ, ჩვენ გზას დავიცავთ!

ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი — არაგველებო!
ვაჟკაც ვინ არის, ახლა გამოჩნდეს!
ვის აქვს სიმტკიცე, ახლა იუბნოს!
მტერს შევაგებოთ ჩვენი მკერდები
და ჩვენი სისხლით იგი ჩავახრჩოთ,
სხვაფრივ არ დავთმოთ ერთი მტკაველიც!
ვინც შეეწიროს დედა-სამშობლოს,
სულით განათლდეს და უკვდავ დარჩეს.
მშობლიურ მიწას ერთად ვემთხვიოთ
და ზიარებად მიწა მივიღოთ!
ეს იყოს ფიცი,
რომ ჩვენ ერთმანეთს დავენაცვლებით
და ჩვენს მოსისხლეს ზურგს არ ვუჩვენებთ!

(მიწას ემთხვევიან).

დედა შეერთოს, ვინც ცოცხალი სახლში დაბრუნდეს!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — დედა შეერთოს!

ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი — ვინც გვიღალატოს, ბრძოლას გაექცეს,
თემში კრულ იყოს!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — თემში კრულ იყოს!

ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი — დაიხშოს მისთვის ყველგან კარები,
პური ითხოვოს, ქვა მიაწოდონ,
წყალი მოსწყურდეს, ასვან ბალღამი!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ამინ!

ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი — ძილი მოუნდეს, ეკლებზე დაწვეს!
თემში შერისხულს, თემით მოკვეთილს,
თავის დახრჩობის გზა ჰქონდეს მხოლოდ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ამინ!
ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი — მოვკვდეთ და ზურგი მტერს არ ვუჩვენოთ!
ყ ვ ე ლ ა ნ ი — მოვკვდეთ და ზურგი მტერს არ ვუჩვენოთ!
ვფიცავთ, ვფიცავთ, ვფიცავთ ერეკლეს!

(მოაწვება ირანელთა ჯარი, არაგველები ეკვეთებიან).

ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი — ჩვენი გვამებით გზა შევუკარით!

მოქმედება მეხუთე

თ ე დ ო — დალახვროს ღმერთმა!
თითქოს ვეშაპი შებრძოლებია წმიდა გიორგის!
რა საშინელი ავდარია, ეს სატიალო?
ახლა სად არის ჩემი გელა?.. ღმერთო, გვიშველე!
შენ დაიფარე ჩემი შვილი გაჭირვებისგან.
ჩვენი ერეკლე გაამარჯვე მოძალადეზე!

(ისმის ძახილი: გათენაშვილო).

მოიცა! ვიღაც ხმაურობს გარეთ.
ჩემი სახელიც დაიძახა. მანდ რომელი ხარ?
ხ მ ა — გათენაშვილი თედო მინდა..
თ ე დ ო — ვინ ხარ?
ხ მ ა — მგზავრი ვარ!
თ ე დ ო — მგზავრი ღვთისაა... მოდი, ძმობილო!

(შემოდის ერეკლე, თედო შეხედავს, უკან იხევს).

შენ ვინ მგზავრი ხარ?
ძალიან ჰგავხარ...
რო გეთქვა ჩემთვის ერეკლე ვარო,
ამ პირჯვრის მადლმა, დაგიჯერებდი.
მოდი, სტუმარო, დაღლილ იქნები.
აი, კერასთან ახლო ჩამოჯექ...
ლორი მაქვს ცოტა... ცოტა არაყი...
ე რ ე კ ლ ე — ნუ სწუხდები...
მე მინდა მხოლოდ დასვენება, სხვა არაფერი...
თ ე დ ო — დაღლილი სჩანხარ...
ე რ ე კ ლ ე — ძლიერ დაღლილი!
თ ე დ ო — შორი გზა გქონდა?
ე რ ე კ ლ ე — არც ისე შორი...
თ ე დ ო — მაინც საიდან?
ე რ ე კ ლ ე — თბილისიდან...
თ ე დ ო — მაშ შენ ამბავი გეცოდინება... რად სდუმხარ, ძმაო?
შენი სახელი?
ე რ ე კ ლ ე — ჩემი სახელი დღეს მე თვითონ მომძულებია!

თ ე დ ო — რა დარდი გაწევს, სახელიც რო მოგძულებია?
არაყს მოგართმევ... აი, ინებე! ვილაპარაკოთ...

(ხონჩით მოუტანს საჭმელ-სასმელს).

თუ თბილისიდან წამოსული ხარ,
გეცოდინება ომის ამბები.

ე რ ე კ ლ ე — შენ გელას გარდა კიდევ გყავს შვილი?

თ ე დ ო — შენ გელას იცნობ?

ე რ ე კ ლ ე — ვიცნობ.

თ ე დ ო — ეხ, ჩემო ძმაო, გელას გარდა სამი სხვა მყავდა.
ორი ასპინძის ომში მომიკლეს ახალგაზრდები.
ერთი კახეთში, გაღმა ლეკებთან,
როცა ერეკლე კოხტა-ბელადს ეომებოდა!
მეც ვახლდი მაშინ ერეკლე ბატონს...
შუბლში ჭრილობა მაშინ მივიღე...
ხოლო ამ მკლავში ადრე დამჭრეს,
მაინც თბილისში რა ამბავია?

ე რ ე კ ლ ე — ხომ შეიძლება დავიძინო?

თ ე დ ო — რატომაც არა, შენი კვნესამე.
ალბათ, ჩვენები გაიმარჯვებდნენ.

ე რ ე კ ლ ე — გელას ცოლ-შვილი აქ არა ცხოვრობს?

თ ე დ ო — დანიშნული მყავს, შენ შემოგევლე...
ამ თვეში ქორწილს ვუპირებდი და ომმა უსწრო!
ომს გადაიხდის, ღვთის შეწევნით, დამიბრუნდება...
მაინც ამბავი გეცოდინება...

ე რ ე კ ლ ე — ამბავი?

თ ე დ ო — დიახ, ამბავი!

ე რ ე კ ლ ე — რა უნდა გითხრა?

თ ე დ ო — ამბავი, შე დალოცვილო!

ე რ ე კ ლ ე — ერეკლე დამარცხდა.

თ ე დ ო — რაო? მე გეკითხები ჩვენს მეფეზე — ბაგრატიონზე.

ე რ ე კ ლ ე — ჰო, ერეკლე ქართველთა მეფე.

თ ე დ ო — თუ იცი რამე, ჩემი შვილი იმასთან არის...

ე რ ე კ ლ ე — დამარცხდა, ძმაო... მტერმა აჯობა...

თ ე დ ო — რას ამბობ, ვეჟო!

(გაივლის, ჩიბუხს აბოლებს).

სადაური ხარ?

ე რ ე კ ლ ე — ქართველი!

თ ე დ ო — მერე ქართველი მაგას რად იტყვის?
არსად სწერია, რომ დამარცხდეს ერეკლე მეფე.
ამბობენ იმის ბედის წიგნში არ სწერიაო.

ე რ ე კ ლ ე — (მკაცრად). ბერიკაცო, დამარცხდა (გულჩამკვდარი)
და შერცხვენილი, გაქცეული ქოხს თავს აფარებს.

თ ე დ ო — (ხანჯალზე ხელი იტაცა). რაებს მიჰქარავ...
პატივისცემა სტუმრისა, თორემ
ახლავ სახლიდან გაგაგდებდი... ამ პირჯვრის მადლმა.
მაგნაირ ჭორებს უვრცელებენ... მოსისხლე მტრები...
არც შენ მგონიხარ მისი მოკეთე...
დამარცხდა ჩვენი მეფე ერეკლე?
სამოცი ომი გადაუხდია და ეს ამბავი კაცს არ სმენია.
ერეკლეს ზურგი არვის უნახავს,
თუ არ პირისპირ მტერს და მოყვარეს.
დამარცხდა ჩვენი მეფე ერეკლე?
მისი დამარცხება როგორ იქნება,
როცა მას ტახტად ხალხის გული აქვს.

ე რ ე კ ლ ე — მოხუცო, მეტად დაღლილი ვარ... აქ დავიძინებ...

თ ე დ ო — რაც გინდა ჰქენ, სადაც გინდა იქ დაიძინე...

(ერეკლე მიწვა ტახტზე).

ვიღაც ოხერი ყალბ ამბებს როშავს...
რად შემოვუშვი, გდებულიყო ავდარში გარეთ!
ავდარი ჩადგა.
ნეტა ქვეყანა დამშვიდდებოდეს.
ღმერთო, შენ მოეც გამარჯვება მეფე ერეკლეს!

გ ე ლ ა — (შემოდის). მამი!

თ ე დ ო — შვილო, გელა!
მოდი, შვილო! მოდი გამახარე!

გ ე ლ ა — აქ უნდა კაცი მოსულიყო...

თ ე დ ო — ვიღაც ოხერი...

გ ე ლ ა — რას ამბობ, მამი!

თ ე დ ო — ვნანობ, რომ სახლში შევუშვი...

გ ე ლ ა — იცი, ვინ არის?

თ ე დ ო — აბა, რა ვიცი!
მიჰქარ-მოჰქარა... არ უნდა იყოს კეთილი სული...
უნდა გამეგდო გარეთ... მაგრამ.. შენ რომ გიცნობდა...

გ ე ლ ა — ეგ ერეკლეა, მამაჩემო!

თ ე დ ო — ვინ ერეკლე?

ბ ე ლ ა — ერეკლე მეფე...
თ ე დ ო — (ჩიბუხი ხელიდან გაუვარდა).
ერეკლე? როგორ? ჩემს ღარიბ ქოხში?

(ერეკლეს უჩოქებს).

მაპატიე მე უბირს, უხეშს...
ისევ შენმავე ერთგულებამ ჩამადენინა...
განა არა, რომ მივამსგავსე! რას ვიფიქრებდი?
რა მოხდა, შვილო, გამაგებინე...
ბ ე ლ ა — დიდი ბრძოლები გადავიხადეთ!
და ორჯერ კიდეც დამარცხდა მტერი...
და გასაქცევად ემზადებოდა,
მაგრამ ღალატით ბოლოს გაგვტეხეს...
მტერი თბილისზე, როგორც ზღვის ტალღა, გადმოიღვარა.
ჯერეთ გაძარცვეს მეფის სასახლე,
მერე ცეცხლს მისცეს მთელი თბილისი.
იმ მოედანზე, სად მარმარილოს
შადრევანია ლომთა ძეგლებით,
ამართეს ბოძი, ხალხს იქ ახრჩობდნენ!
ღვთისმსახურებს კი ხიდიდან ჰყრიდნენ!
არჩევდნენ ლამაზ დედებს და ქალებს,
მათ ბავშვებს ხმლებით შუა ჰკვეთავდნენ...
შანთებით წვავდნენ მოხუცებულებს:
„ქონება სად გაქვთ დამარხულიო“.
თ ე დ ო — ვაი უბედურთ! ვაგლახ, ასეთს დღეთა მოსწრებას!

(აცრემლებული, საყვედურით).

შენ, ღმერთო, რატომ ჩემი ლოცვა არ შეისმინე?
მე ხომ დაგპირდი შესაწირავს და კიდევ კურატს...
მტერს შენ რად მიეც გამარჯვება შენს ერთგულს ხალხზე...
ეე, ღმერთო! სამართალი არც შენ გქონია...
ხ მ ა — ოჯახიშვილო, გათენაშვილო?
თ ე დ ო — ვიღაც იძახის...
ბ ე ლ ა — ეს უნდა იყოს მეფის მსაჯული!
სოლომონია... (ყარებს გააღებს). მობრძანდი, სოლომონ.
ს ო ლ ო მ ო ნ ი — აქა მშვიდობა...
მეფე სად არის?
ბ ე ლ ა — მეფე ისვენებს...
ს ო ლ ო მ ო ნ ი — მადლობა ღმერთს, მეფე გადარჩა!

ანანურის ციხეში

ერეკლე სარდლებით გამოდის ეკლესიის ბჭიდან.

ე რ ე კ ლ ე — ჩვენს ხელთ რომ იყოს შეჩერება ჟამთა სრბოლისა.
ვინ განიცდიდა დამარცხების მწარე სირცხვილსა
და თავის ხალხის ყოველ კითხვას, სულისკვეთებას,
ვინ არ გასცემდა იმავ წამში ღირსეულ პასუხს?
ი ო ა ნ ე — მეფევ ბატონო, სოლომონი მართალს ბრძანებდა,
დაძრულა მთელი საქართველო!
მოდის ჯარი ყოველ კუთხიდან.
ო თ ა რ — ბატონო მეფევ, ბრძოლა გრძელდება.
მარბიელი ჯარი მთელ ქართლს შემოსევია,
ნახიჩევანის ხანი, ქერბალა, უკვე მცხეთაშია
რვა ათასი მეომრით.
მან თავისი ჯარის ნახევარი გორისკენ გამოისტუმრა,
ხოლო მეორე ნახევრით თვითონ მოემართება მთიულეთისკენ
შენს შესაპყრობად.
ე რ ე კ ლ ე — მე მაინც გეტყვით, რომ აღა-მაჰმად-ხანის გამარჯვება უხეში და უაზრო ძალის ხანმოკლე ზეიმია, რომლის შემდეგ დადგება ჟამი სასტიკი პასუხისგებისა.
ს ო ლ ო მ ო ნ ი — მეფეო, ელჩი!
ე რ ე კ ლ ე — ელჩი! ვისგან?
ს ო ლ ო მ ო ნ ი — აღა-მაჰმად-ხანისაგან!
ე რ ე კ ლ ე — აჰა! გამარჯვებული დამარცხებულთან მაინც ელჩს
გზავნის?
ვერ მომატყუებს საჭურისი, ეშმაკზე ერთი დღით ადრე
დავიბადე. (შემოდის ელჩი).
ე ლ ჩ ი — ჩემის მბრძანებლის წყალობით შენი თავი ამაღლდეს,
ერეკლე-ხან, უმაღლესო ვალი გურჯისტანისავ!
ფრიად დიდებულს, ძლიერს ერეკლეს
ბატონი მისი მოუძღვნის სალამს.
ე რ ე კ ლ ე — გვიბრძანე, შემდეგ?
ე ლ ჩ ი — აღა-მაჰმად-ხან ფირმანს გიგზავნის. (ფირმანს გადასცემს).
ბრძენი მეფე ხარ და ხმელეთზე სახელოვანი,
არ სურს ჩემს მნათობს შენი წყენა და არც წახდენა.
იგი მზად არის, გადმოგხედოს წყალობის თვალით,
შესწყვიტოს ომი და მხედრობით უკან დაბრუნდეს.
ე რ ე კ ლ ე — ბრძანეთ, ბრძანეთ!
ე ლ ჩ ი — უკან დაბრუნდეს მთელის ჯარით იგი მზად არის,

ოღონდ სურვილი აუსრულე, დაეხსენ რუსეთს.
და იმის ნიშნად, რომ თანახმა ბრძანდები მისი,
რომ აღიარებ მის უფლებას შენს ქვეყანაში,
ან შენ, ან ერთი შვილთაგანი უნდა მიხვიდეთ
მის ხელმწიფების დიდებულ კარზე,
რათა მიიღოთ მისი წყალობა.
ამასთანავე უნდა მიართვათ:
პატიომკინის ნაჩუქარი დიდი საათი
და ის ალმასი, შენ რომ დაგრჩა აზატ-ხანისგან!
და ამის გარდა, ჩააბაროთ შემოხიზნული ყარაბაღელნი.

ერეკლე — კიდევ რას ითხოვს?

ელჩი — სულ ეს გახლავს და რას მიბრძანებთ?

ერეკლე — არც მე გიბრძანებ და არც ბრძანების უფლება აქვს ჩემზე შენს ბატონს.
წადი და უთხარ, არ ვაღიარებ მის უფლებას ჩემს ქვეყანაში.
უთხარ, არ ძალგვიძს დავივიწყოთ ის წამებანი,
რაც მიგვიღია თქვენგან, თქვენის წინაპრებისგან!
არც მომავალში გესლს დაჰკარგავს ცბიერი გველი!
ამიტომ კმარა! მე ვპოვე დიდი მოკავშირე
და ამიერიდან თქვენი ხსენება მოისპობა ჩემს მიწა-წყალზე.

ელჩი — ამ ფირმანის პასუხი ნუთუ ეგ არის, უმაღლესო ვალი გურჯისტანისავ!

ერეკლე — (გადააბევს ფირმანს). დიახ, ეს არის!

ელჩი — ალაჰ! ალაჰ! (გადის).

სოლომონი — თონე ცხელია, პურს დაკვრა უნდა.

ერეკლე — არა! ამაო მსხვერპლი იქნება!
ვიცი და მწამს,
რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება
დიდი რუსეთი ხელს გამოგვიწვდის.

სოლომონი — დიახ, ეგ მესმის! მაგრამ შენს ხალხს რომ აუკვეთო თავისუფლება, ჯერ სამაგისო
რა გვემართება?

ერეკლე — თუნდ გამარჯვება ჩვენ მოვიპოვოთ,
ეს დროებითი იქნება მხოლოდ!
კვლავ აღსდგებიან ჩვენს დასაპყრობად
და ეს როდემდის?
შერყეულია ჩემი ტახტის ძველი სიმტკიცე,
ჩემი შვილები თვით ამტვრევენ ამ ტახტის რტოებს.

ასეთს რღვევის დროს მტკიცე, სწორი გზა უნდა ვნახოთ.
და ეს გზა არის მხოლოდ რუსეთი.
და ჩვენი ხალხი თუ ოდესმე სიკეთეს ჰპოვებს,
ჰპოვებს რუსეთის საფარელქვეშე!

სოლომონი — მეფეო ჩემო, დარიალის რკინის კარს რომ ხსნი,
ვინღა ჩაკეტოს, თუ დასჭირდა ეს ქართველობას?
ცხადია, ველურ მეზობლებთან არ გვეცხოვრება,
ისიც ცხადია, თავს არ ვისპობთ განათლებულთან,
ამიტომ დღესაც საქართველო შენგან მოითხოვს:
არცა ვის ვეყმოთ, არცა ვემონოთ
გარეშე ღვთისა დამბადებლისა
და ვიყვნეთ მარად თანასწორნი თანასწორებთან.

ერეკლე — მე თვით მზარავს იმის ფიქრიც კი,
თუ ჩემს განზრახვას რა სიძნელეც წინ აღუდგება.
მაგრამ ისიც მწამს, ჩემზე უკეთ არავინ იცის
ამჟამად ჩემს ხალხს, ჩემს სამეფოს რაც მოუხდება.
ხოლო სირცხვილად... ჩვენს სირცხვილად... რუსთა წინაშე,
როს გაიგებენ, დროშა წაგვართვეს, სამეფო დროშა!..

(სარდლებმა ჩაღუნეს თავები. დუმილი. გელა წინ წამოდგება, რომელიც აქამდე შემოსავალში დარაჯად იდგა).

გელა — მეფევ ბატონო!

ერეკლე — რაო, შვილო?

გელა — ნება მიბოძე...

ერეკლე — მომიახლოვდი...

გელა — ის დროშა ვნახე...

ერეკლე — სამეფო დროშა?..

გელა — დიახ!
ხელიდან ხელში გადადიოდა...
გააფთრებული მტერი იმ დროშას ზედ აკვდებოდა...
უცბად გამოჩნდა საიდანღაც დასტა მებრძოლთა...
ვიღაც ჭაბუკი მეთაურობდა...
იმას თან ახლდა კიდევ ერთი ყრმა...
ორთავ გააპეს და იმ დროშას მკაცრად ეკვეთნენ...

ერეკლე — მერე?

გელა — ცხენთა ტორისგან მტვერი დგებოდა...
დაჭრილი დაჭრილს ყელში სწვდებოდა...
უწიეს დროშას... მტერს გამოსტაცეს...

ერეკლე — მერე?

გელა — ბოლოს ისინი მტვერმა და ბუღმა

სრულად დაჰფარა — შემდეგ, არ ვიცი...

ერეკლე — ღმერთო მაღალო! შენ ჰფარვიდე...

ყველანი — ღმერთო, ჰფარვიდე!

სოლომონი — ცოცხალი გვყავდეს მეფე ერეკლე,
დროშაც, დიდებაც დაგვიბრუნდება!

გელა — (რომელიც გადაღმა იცქირებოდა). ბატონო სოლომონ! აგერ!

სოლომონი — მეფევ ბატონო! სამეფო დროშა!

(შემოდიან ვახტანგ და თეკლე).

სარდლები — ჩვენი დროშა! სამეფო დროშა!

ვახტანგი — დღეგრძელი იყოს მეფე ერეკლე!

ერეკლე — (დროშას გულში ჩაიკრავს). დროშავ, ნაკურთხო მრავალ-
ჯერ სისხლით,
შენ მთლიანობის ჩვენო იმედო.
ჩემს გამარჯვებას შენ წინ უძღოდი,
მომავალშიაც წინ გაგვიძღვები.
მითხარ, ჭაბუკო, რა ჯილდო მოგცე!

ვახტანგი — ჯილდოს არა გთხოვ, დიდო მეფეო,
პირობა მომეც, ერთი ურჩი წარმოგიდგინო,
რომელს თან ახლავს აჩქარება, მოუთმენლობა,
მაგრამ ვინც იყო ჩემთან ერთად ჭირსა და ლხინში
და ეს დროშაც დამახსნევინა!
მას შეიწყალებ და საიდუმლოს შენახვისათვის
მეც მაპატიებ! (უჩოქებს).

ერეკლე — ახალგაზრდობა ასაკია სახარბიელო
და არცა ვინმე ასამართლებს გამარჯვებულებს!
მოიყვა, შვილო, ვინ არის იგი?

(თეკლეს წარმოადგენს).

ყველანი — თეკლე! თეკლე?

თეკლე — მამავ! მამავ! (ჩაეკრა).

ერეკლე — მაშ ეს შენ ხარ,
ჩემო გიჟო, შენ თეკლა-ბიჭო,
ჩემო გოგონავ!?
ვხედავ, შვილო, ფრთები შეგსხმია!
უღლის გამწევიც მოგინახავს, დამილოცნიხართ.

თედო — (შემოდის). მეფე ერეკლეს დღეგრძელობა ბრძანოს გამ-
ჩენმა!
რუსის ოფიცრებს სურთ თქვენი ნახვა!

ერეკლე — რუსის ოფიცრებს? სთხოვე, სოლომონ!

(გადიან. მცირე ხნის შემდეგ შემოდიან სოლომონი და რუსის ელჩი).

ნუთუ მე გული რასაც მიგრძნობს, იგი აღსრულდეს?
არა, არა ვარ მთლად განწირული!

სოლომონი — (აღტაცებული). აღსრულდა! მეფევ, აღსრულდა!
(ოფიცერს ერეკლეს წარუდგენს).
აი, ერეკლე! მეფე სრულიად საქართველოის...

ოფიცერი — ნება მიბოძეთ, თქვენო უდიდებულესობავ,
გიძღვნათ სალამი ჩემი ხელმწიფე იმპერატრიცის...

ერეკლე — მოხარული ვარ...
რაოდენადაც შეუძლიან დღეს ჩემს დაჭრილ გულს.

ოფიცერი — უკვე გავიგე ყველაფერი და ვწუხვარ დიდად!
ჩემმა ხელმწიფემ-იმპერატრიცამ მე მომავლინა
თქვენთან სასწრაფოდ, რათა გაუწყოთ:
რუსის ლაშქარი დარიალის კედლებს მოადგა
მოსაშველებლად... ზარბაზნებით... კავალერიით.
ჩემი მთავრობა ომს უცხადებს აღა-მაჰმად-ხანს.
შარაგზის ყაჩაღს არ შეარჩენს ძალმომრეობას!
აი, ინებე უმაღლესი თქვენთან მომართვაც.

ერეკლე — ბედნიერებით, სიხარულით, აღსავსე გულით
მადლობას ვუძღვნი დიდი რუსეთის იმპერატრიცას.
ჩემო შვილებო! ჩემო სარდლებო!
მე გაყოვნებდით, ახლა კი ხმალი!
დავით! წარუძეხ!
გატეხილ ხიდთან სამი ათასი!
ერთი მთხრობელიც აღარ გაუშვათ!
შვილებო!
გზა ჩვენ, ქართველებს, გაკვლეულ გვქონდა,
რომ დავხწეოდით ძალმომრეობას,
მშვიდად გვეცხოვრა ერთმორწმუნესთან.
მტერმა დაგვასწრო! სურდა მახვილით
მას ჩაეშალნა ჩვენი წადილი,
ჩაეკლა ჩვენი დიდი მიზანი:
რუსს-ქართველების წმინდა კავშირი!
მაგრამ ცდა მისი ამაოდ დარჩა!
ძველის ხალისით და სიხარულით
მოხუცის გული წინ გაგიძღვებათ!
და, თუ სიკვდილი სწერია ჩემი,
მოვკვდე პირველი!

ყველანი — ან გამარჯვება და ან სიკვდილი!
(მხედრული სიმღერა. ერეკლეს თან მისდევს რუსის ელჩი).

დასასრული